



მხედლ თუმანიშვილის სახელობის  
თეატრალური სკოლების ტანვითარების  
ფონდი

Tumanishvili Theatre Foundation

# ქართული პიესა 2013



გამომცემლობა „კენტავრი“  
თბილისი  
2014

## 26 მაისი

მოქმედი პირები:

ქალები:

ნანა

ნათელა

კარგი მოხუცი

კაცები:

დარდინი

ბატონი რეზო

ცუდი მოხუცი

1.

27 მაისი. ავტობუსის რეისი: ათენი-ქუთაისი-თბილისი.

დიდი და მცირე ზომის ჩანთები და ფუთები.

ჩანთებს შორის დიაგონალურად მწოლი ადამიანების თავეები ჩანს. ეს ნანას, ნათელას და დარდინის თავეებია. ბნელა. შუქი ზოლებად შემოდის გარედან.

**დარდინი:** სანამ გადავა, შეაყენებს. ერთ საათზე მეტი არ დაჭირდებათ.

**ნათელა:** ცხელი ჰაერი უბერავს აქედან. აღებენ ამას?

**დარდინი:** ჩანთებს მოანათებენ და დახურავენ. ერთხელ გადმოიღეს და ბავშვი იწვა უკან.

**ნათელა:** მკვდარი?

**დარდინი:** გულწასული. უჰაერობა იყო, თავზე ეწვა დედამისი. ზედ – ჩანთებით.

**ნათელა:** სხვაგან რატომ არ დაწვა?

**დარდინი:** რბილი იყო ბავშვი და იმიტომ. არ იყო ადგილი. (პაუზა) მშობლებს დიდი საყვედური ჩემგან: არ შეიძლება ბავშვების ასე წამოყვანა. უფროსი ვერ უძლებს ზოგჯერ. ფიზიკა უძლებს, ტვინი ვერ უძლებს. ზოგი გადმოდის და მთელი ცხოვრება სულელივით იცინის. (თვითონ ცდილობს ვაცინებას, ოღონდ ხმადაბლა და არცთუ ბუნებრივად. ნანას) შენ ნუ ჩამოგტირის ცხვირ-პირი, მკვდრები არ ვართ ჯერ.

2.

*ალიარებითი ჩვენება. ნანა:*

*ნანა: მკვდარი ვიყავი ფაქტობრივად. რა უნდა მოვეყვე? არ მახსოვს, როგორ მოვედი, როგორ შემოვწექი, როგორ გავიარე ეს გზა საზღვრამდე, როგორ გავატარე*

შფოთსა და შიშში სამი კვირა და როგორ მოვედი თქვენამდე. ჩემი ცხოვრებიდან სამუდამოდ ამოშლილია წლეგანდელი 26 მაისი. თუმცა ჩემთვის 26 მაისი გახდა დანარჩენი დღეებიც. სულ ეს ერთი თარიღია იმ დღის მერე. ჩემთვის, როგორც პიროვნებისთვის, მიუღებელი იყო ჩვენი საქციელი. ეს გზა მახსოვს, როგორც ტირილის და სირცხვილის გზა. თუმცა მოვალე ვარ, მაინც გავიმართლო თავი, რადგან ვთვლი, რომ მაქვს ამის მიზეზი. მამაჩემი აბრეშუმის ჭიის გამოძევანი ფაბრიკის დირექტორი გახლდათ ამჟამად რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში, თუმცა თანამდებობის დატოვება მოუხდა ცნობილ მოვლენებამდე რამდენიმე თვით ადრე, რასაც ჩვენი ნაწილობრივი გადმოსვლა მოჰყვა ქალაქ ქუთაისში. რატომ ნაწილობრივი? ჩვენი ოჯახის ნაწილი გალის რაიონში ჩარჩა, სოფელ ჭუბურჩინჯში, საიდანაც დედაჩემი გახლდათ წარმოშობით, ხოლო მამამ იმერეთში სცადა ფეხის მოკიდება. ნურავინ იტყვის, რომ ეს იყო განხეთქილება ან დაცელება – მამაჩემს სიკვდილამდე დედას ფოტო ედო ჯიბეში; ჩემი ხელით ამოვუღე პიჯაკიდან საბჭოთა პასპორტი, დედას ფოტო და პატარა სავარცხელი, მისი თმის სუნი რომ პქონდა კბილანებზე. აფხაზეთის ომის შემდეგ, გალის რაიონი საზღვრის მეორე მხარეს აღმოჩნდა და დედაჩემის ნახვის შესაძლებლობა 1995 წლამდე არ მეძლეოდა. სპეციალური საშვი მიქონდა, რომ ენგურის ხიდზე მდგომ რუს ჯარისკაცებს გადაეგეშვი ჩემს დედულეთში, მაგრამ არც გადასვლა იყო ადვილი და არც, შესაბამისად, გადმოსვლა. ორჯერ გადავედი და ორჯერ გადმოვედი, მაგრამ ჯამში ათი სიცოცხლე გავათავე მაშინ. 1991 წელს დაიშალა საბჭოთა კავშირი, 1996 წელს გარდაიცვალა დედა. და რუსი სამხედროების გამო მაინცდამაინც იმ დღეს არ მომეცა საზღვარზე გადასვლის შესაძლებლობა, რადგან არ ვაჭრა არც ქრთამმა, არც საშემს და არც დაკრძალვის მომიზეზებამ. ერთი ავტობუსი

ხალხი გამოგვაბრუნეს უკან. გამოითქვა აზრი, რომ გადავსულიყავით მდინარით, მაგრამ, ერთი მხრივ, ჩქარმა დინებამ შეგვაშინა, მეორე მხრივ – სნაიპერის ტყვიამ. გადაწყდა – საზღვრის აქეთ მოგვეწყო უმიცვალეებულო დაკრძალვა ყველა წესის დაცვით. 1997 წლამდე მამასთან და უმცროს ძმასთან ერთად ვცხოვრობდი ქალაქ ქუთაისში. მქონდა გათხოვების შესაძლებლობა, მაგრამ ჩაიშალა საერთო გაჭირვებისა და პირადი შეუთავსებლობის გამო. იყო სხვა ვარიანტიც, მაგრამ ასევე მიუღებელი აღმოჩნდა ჩემთვის. არ მწამდა სიყვარულის და არც ახლა მწამს, რადგან ესაა დიდი ტყუილი და დიდი ტანჯვა. მით უმეტეს ახლა – ამდენი იმედგაცრუების, ღალატისა და ტკივილის შემდეგ. 1997 წლის დეკემბერში პირველად გავემგზავრე საბერძნეთში წოლით მდგომარეობაში და იქ დავყავი 2012 წლამდე. ამ პერიოდში მე მოეუარე სამი წლის ბავშვს და ორ ცალ მოხუცს, რომელთაც წლების განმავლობაში არ ვატანდი სიკვდილს. პირველი პიროვნება არ იყო სიმპათიური პიროვნება, მაგრამ მიუხედავად ამისა, არც სითბო მომიკლია მისთვის და არც ზრუნვა, მაშინ, როცა საწყალი მამაჩემი უჩემოდ კვდებოდა უგაზო, უეკტროლო და უფულო ქუთაისში. შემდეგ კი იყო ჩემი დიდებული ქალბატონი, ჩემი შვილი და დიდება, ბებია და დედა, და და შვილიშვილი, ნათესავზე უფრო ახლობელი და მეგობარზე უფრო სანდო მოხუცი, რომელიც 95 წლის ასაკში ჩამბარდა და რომელსაც ფარად ვედგებოდი ბარე 120 წლამდე, რომ არა 26 მაისის ღამის ინციდენტი. ჩემი მეშვეობით მას სასაჩუქრე ზედნადების სახით მიეცა რამდენიმე მშვიდი წელიწადი. უნდა ვთქვა, რომ ყოველ ღამე მორიდდა სიკვდილი და მე მას ვხვდებოდი ჩემი სიბეჯითით, ჩემი უღრეკელობითა და ჩემი სიყვარულით წესრიგის მიმართ. სიკვდილს მოხუცი მანდილოსნის ხელი ეჭირა და მე კი სულს ვუბერავდი მის სახეს. სიკვდილი ოხრავდა მის

გვერდით და მე მას სიცოცხლეს ვხუქნიდი ჩემი  
ორპირებითა და განიავებული ოთახებით. წლების  
მანძილზე არ დამიხურავს ფანჯარა, ოთხი სტიქიიდან  
სამით ვაცოცხლე (მეოთხე – სიკვდილისა): სუფთა  
პაერთი, ცეცხლით – სანთელს ვუნთებდი ყოველ  
დღე - და ზომიერი ტემპერატურით შეცხვლებული  
საბანავებელი წყლით, რომლითაც ორ კვირაში  
ერთხელ ვუზელდი ტან-ფეხს. თუმცა იყენენ ქალები,  
რომლებიც წლებით არ აბანავებდნენ თავიანთ  
მოსავლელ ბებიებს. მოსავლელებსაც, შესაბამისად,  
ესეოდათ ტილები და უზნდებოდათ დამპალი  
ნაწოლები, მაგრამ ეს არ აწუხებდათ მათზე  
მზრუნველ ქალებს. ერთი ამბობდა: „ჩემს ბებიას  
არ ვბან – ესჯი, იმიტომ რომ ხელზე მიკბინა“.  
ეს, ცხადია, უხაროდა სიკვდილს და უხაროდათ  
მოხუცთა შთამომავლებს, რომელთაც ერთი სული  
ქჷონდათ, როდის შეწყვეტნენ ცოცხალ-მევედარი  
ხალხისა და მათი მომვლელების დაფინანსებას.  
მაგრამ ვიყავით ჩვენც, ვისაც ბაფზე გვება ამათი  
სული. იყო ეჭვიანობებიც. როგორც მოგახსენეთ,  
გარკვეული ხნის განმავლობაში დიდი სიყვარულით  
გუგლიდი სამი წლის ბიჭუნას, რომელმაც ეჭვსთვიანი  
ურთი რთობის შემდეგ მიწოდა „დედა“ და ნამდვილ  
დედას კი არ მიეკარა: იტირა და ჩემკენ მოიწია.  
დედამ იეჭვიანა და დადგა ჩემი გაშვების საკითხი.  
ბრალად დამდეს ბავშვის უხამსი ფერება. ზოგ ძიძას  
ცემისთვის აგდებდნენ, მე კი ფერება ჩამითვალეს  
დანაშაულად. ამ დროს, თვითონ ერთხელაც არ  
გადაუსვამს ბავშვისთვის ხელი, მე კი არ მქონდა  
ქვის გული და ყოველთვის მიყვარდა ბავშვის ფერება.  
ბავშვი იყო, ზრდასრული კაცი ხომ არა. იქ ჰყავდათ  
ალბანელი მსახური გოგო და სწორედ იმან მითხრა:  
შენზე თქვეს, ბავშვს ყვერების ქვეშ კოცნისო. სად?  
როდის? ბანაობის მერე? გამშრალეებისას? რომც  
მეკოცნა, ეს ხომ დედობრივი კოცნა იქნებოდა! მაშინ  
ვთქვი: მორჩა ბავშვები. ამის შემდეგ, ღმერთმა ჩემი

და ჩემი დიდებული ქალბატონის შეყრა ინება. მისი სათუთი ტანი მეჭირა თითქმის 10 წელიწადი! ორი წელი ფეხზე იდგა, მერე დაჯდა, ბოლოს ჩაწვა. იყო შეკითხვა: აქამდე როგორ მოაღწია? ჩემი პასუხი: საკუთარი თავისა და ბუნების დიდი სიყვარულით. ფეხებთან იდებდა ვედროს და საჭმლის ნარჩენებით ავსებდა. ლუკმას არ ყლაპავდა. ხორცი იქნებოდა, პური თუ სხვა რამ, წვენი წუწნიდა და ამგვარად გამოწუწნულს ავლებდა ვედროში. შედეგად, გორა დგებოდა გამოწუწნული ლუკმების. ამის ცქერა არ იყო სასი მოვმო, მაგრამ ეს იყო დიდი ზრუნვა საკუთარ თავზე. ვედროს შიგთავსს მე ვცლიდი ტუალეტში. ასე ჭამაც ვცადე, მაგრამ თავისი პქნა ლეჭვის ინსტინქტმა. მე ლეჭვა შემეძლო, რადგან სიკვდილის არ მეშინოდა. მოხუცი გამოშიგნული ლუკმებით ავსებდა ვედროს, მე კი - ჩანთას კუთვნილი ხელფასით. წლების განმავლობაში ვგზავნიდი ფულს საქართველოში, სკოლა დავამთავრებინე ჩემს ძმისშვილებს და დისტანციურად დავერძაღე მამა. მთელი ეს წლები ეფთხიას (ასე ერქვა მოხუცს) მიერ ნაჩუქარი ქურქებით დადიოდა გაყინული ქუთაისი. მამასხრებდნენ: ეს ქალი უკვე მეგვარია, შენ კი ვერ ხვდები. გოგოები მსაყვედურობდნენ: შენ მას სიცოცხლეს ჩუქნი, ის კიდევ ცხოვრებას გართმევს. მე ჩემი ცხოვრება წამართვა სულ სხვა პიროვნებამ და არა ჩემს მიერ სიკვდილისთვის ხელიდან გამოვლეჯილმა სათუთმა სულმა. დამნაშავე სხვაა. უდიდესი იმედი ჩამისახა 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებმა და „ვარდების რევოლუციამ“. 2003 წლის ნოემბერი საქართველოს საელჩოსთან მაქვს გატარებული, ხელში ჩვენი ახალი ხუთჯვრიანი დროშით და პლაკატით: „გადადექი, ედუარდ!“. სახელდობრ მიტინგებზე ვდგავარ ეროვნული მოძრაობის დაწყების დღიდან, როცა ცხონებულ მამიდაჩემს მამაჩემისგან მალულად (კაცი ფაბრიკის ხელმძღვანელი იყო, ასე თუ ისე) დაყვავდი დემონსტრაციებზე. ვარ

ნამყოფი ცნობილ მიტინგზე ზუგდიდში 1993 წელს, როცა განდევნილი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ფარულად ჩამოვიდა ჩეხეთიდან და ხალხს მოგვიწოდა, ერთად დაგვებრუნებინა კანონიერი ხელისუფლება. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ სულ უფრო ხშირად ვფიქრობდი საქართველოში წასვლაზე, რადგან მჯეროდა ახალი პრეზიდენტის და მჯეროდა, რომ ახლა მაინც დავიბრუნებდით ჩვენს დაკარგულ ტერიტორიებს. მაგრამ ვერ ვტოვებდი სიკვდილთან მებრძოლ ჩემს ძვირფას საზრუნავს და მიჭირდა უარის თქმა ყოველთვიურ შემოსავალზე. ეს ფული აცხივრებდა ჩემს წილ საქართველოს. მაგრამ მე გული მატკინა სამშობლომ, იმედი გამიცრუა ახალგაზრდა პრეზიდენტმა და ცხივრება წამართვა ჩემმა არაკანონიერმა მეუღლემ. ჩემი ტანჯვისა და შეცდომების დასაწყისს მე ვეძებ იმ უარში, როცა პირველად გამომისტუმრეს საკონსულოდან უვიზოდ. ეს მოხდა 1997 წელს. მე მქონდა ახალი ქართული პასპორტი, ჩემს ქვეყანას უჭირდა და მინდოდა კანონიერად გასვლა როგორც ევროპაში, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებში. თუმცა რახან არც ერთგან არ ჩამთვალეს ადამიანად, იძულებული გახდი, გაღწევის სხვა საშუალებებზე დამეწყო ფიქრი. პირველად სწორედ მაშინ გავედი წოლით და როგორც ხედავთ, ფეხზე დღემდე ვერ დავმდგარვარ. ფეხებმა თქვენთან მომიყვანეს.

3.

ნათელას ჩვენება.

ნათელა: დიახ, ვადასტურებ, ალარავინ დადიოდა ასე. სარიხკო იყო. სიცოცხლისთვის უფრო, თორემ ისე ვინ რას ვიზამდა – გამოვართვედნენ, საზღვარზე არ გადავიშვებდნენ და უკან გამოვებრუნებდნენ. ბევრი დაჭერილა ამ ვითარებაში. თუმცა სად



იყო არჩევანი, ოღონდ გაგელწია და ყველაფერს იზამდი. იძულებული რომ არ ვყოფილიყავი, არც მე დაეწეებოდი ამასთან. დილით უნდა გამოვსულიყავით და გამოვედით. ამ დროს, სახლი მქონდა, შემოსავალი მქონდა, ბაბუა მყავდა მოსავლეელი, ერთი ცალი ბინა თბილისშიც მქონდა ნაყიდი და კიდევ ვიყიდდი, ის 26 მაისი რომ არა. მაგრამ გვირახით გასვლას ისევე ეს ჯობდა; მოგეხსენებათ, არის ქვეყნები, სადაც გვირახით იპარებიან – მუხლზე ჩიქვით გადინარ კილომეტრებს და ან მკვლარი ამოდიხარ ზევით ან ცოცხალ-მკვლარი. მე წოლით გავედი 1996 წელს. სულ ახალგაზრდა ქალი ფაქტობრივად. და როგორც ახალდაბადებულმა ბავშვმა არ იცის არაფერი, არც მე ვიცოდი, საზღვრებს იქით რა ხდებოდა: კაცების ტუალეტში შევდიოდი და ლიმონათი მეგონა კეტჩუპი; არ ვიცოდი, რა ერქვა ხეს, რა ერქვა კაცს, რა ერქვა ვაშლს და რა ერქვა ლოგინს. ბევრნი არ ვიყავით მაშინ, მაგრამ ვინც ვიყავით, გვერდში ვეღვივით ერთმანეთს, შესაბამისად, ნელ-ნელა გაეწიეთ ალბანელი, ბულგარელი, უკრაინელი და რუსი ძიძები. დიდი მოთხოვნა იყო ჩვენზე, რადგან ხელი გვექონდა კარგი, ადვილად ვითვისებდით მაგათ ენას და რაზეც უნდოდათ, იმაზე ველაპარაკებოდით. მოხუცს კიდევ სხვა რა უნდა უნდოდეს – მოსმენა, ჭმევა და წამლების სიის გადაწერა-გადმოწერა. მე ღმერთი ვიყავი ნანასთვის – ეგ ჩემზე ბოთე გამოდგა თავიდან. სადღაც რაღაც უნდა შეევსო და მოქალაქეობის გრაფაში „ქუთაისი“ ჩაწერა. ხუთი თვე ტიროდა, მაგრამ როგორღაც ფეხზე დადგა. მე ვუშოვე პირველი მოსავლეელი ბავშვი და პირველი ბაბუა. თუმცა ბაბუა არ იყო კარგი პიროვნება – ნანა ცრემლდება მდე მიყავდა. თუნდაც ეს ფაქტი რად ღირს: არ ვეუროდა, რომ საქართველო არსებობს.

*(ცუდი მოხუცი სავარძელში ზის. ნათელა ნანას დაცვას ცდილობს).*

**ცუდი მოხუცი:** თქვენ ხართ რუსები, ვინც მანდ ცხოვრობს, ყველა რუსია!

**ნათელა:** ჩემი საქმე არაა ეს, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ ჩვენ სულ სხვა ენა გვაქვს, ჩვენი საკუთარი ანბანი...

**ცუდი მოხუცი:** რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და აქეთ მოაწყდა ხალხი, მანქანების ჩაკეტვა დავიწყეთ. რუსეთმა კულტურა შემოიტანა თქვენთან, თქვენ კი იძახეთ: ამერიკა, ამერიკა და აჰა, ახლა მათხოვრები ხართ!

**ნათელა:** ჩვენი კულტურა უძველესია მთელ მსოფლიოში!

**ცუდი მოხუცი:** ვინ შემოგიყვანათ რკინიგზა? ვინ გაგიხსნათ სკოლები? რუსებმა!

**ნათელა:** მე არ ვიცი ასე კარგად ისტორია და ახლა ძალიან მიჭირს კამათი, მაგრამ გული მიკვდება ამდენ უსამართლობას რომ ვისმენ ჩემს ქვეყანაზე!

**ცუდი მოხუცი:** შენი ქვეყანა რუსეთია!

**ნათელა:** ტირილი გვინდებოდა ზოგჯერ. თან დღე და ღამე სახლში იჯდა და ერთი და იგივეს უჩიინებდა რუსი ჯარისკაცებისგან გამწარებულ ქალს: რუსები ხართ! რუსები ხართ! ნანას ვურჩიე, დამამშვიდებელი ჩაეყარა მისთვის, რადგან ვიცოდი, საყვედურს არავინ ეტყოდა ამის გამო – ოჯახის წევრებიც გაწამებულები ეყოლებოდა მაგას, მაგრამ შეეშინდა – იფიქრა, რომ შემოაკვდებოდა. ამ დროს, აქ ისე კლავდნენ უპატრონო მოხუცებს, კაციშვილი არა იყო მათი მომკითხავი. იმის შვილიშვილთან უჩივლია მერე – რუსს მეძახის ბაბუათქვენიო და იმან, თავიდან მეც რუსი მეგონე, რუსი რითია ცუდიო. ერთი ჯიშისანი გახლდნენ ორივე, სხვას რას ეტყოდა. ამ საწყალს უთქვამს, ცუდი არაა, მაგრამ ქართველი ვარ და რატომ ვიძახო, რუსი ვარო. შეურაცხყოფილი იყო. სწორედ ამ საუბრის შემდეგ ვურჩიე ათენში

მცხოვრები ბატონი რეზო (და ახლაც ვწყველი იმ დღეს – მე ვავაცანი), მეტქი, ინტელიგენტი კაცია, პროფესორია, გამართულად საუბრობს ამათ ენაზე, ტელეფონით დაურეკავს და მოკლედ მოუყვება ჩვენს დიდ ისტორიას. არეკინებდნენ ხოლმე გოგოები; ცივლა იყო ერთი და იმას დაეხმარა. ნანას შეეშინდა, სამსახური არ დამაკარგინოსო, მაგრამ ბოლოს მაინც თხოვა დახმარება. ექიმივით იყო ეს რეზო: გშეგლოდა, როცა გულის გტკენდნენ. ღმერთმა აცხონოს მისი სული.

**ნანა ტელეფონის ყურმილით ხელში, სავარძელში.**

**ცუდი მოხუცი:** ტელეფონის ყურმილში ბ-ნი რეზოს ხმა ისმის. ფონად – შიშინი.

**ნანა: (ყურმილში)** ბატონო რეზო, რუსები ხომ არ ვართ? უთხარით!

**ბ-ნი რეზოს ხმა: (აუღელვებლად)** არა, ცხადია. პირდაპირ გეტყვით: ჩვენ ელინებთან უფრო ახლოს ვართ, ვიდრე სლავებთან. ქართველები – ეს სულ სხვა ეთნოსია. და ამას გეუბნებათ არა ვიღაც შარლატანი, არა ვიღაც სალახანა, რომელიც ეროვნული მესიანიზმისა და გამორჩეულობის იდეითაა შეპყრობილი, არამედ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. (პაუზა) უკაცრავად, მგონი, ყავა გადამესხა ჰო, არაფერი. ქართველებს, მაშასადამე, იბერიელებსა და კოლხებს უკვე ანტიკურ წყაროებში ვხვდებით და მითიური კოლხეთი კი სხვა არაფერია, თუ არა დღევანდელი დასავლეთ საქართველო – თქვენზე მზრუნველის სამშობლო!

**ნანა:** ხელი დამიბუჟდა. (იციინი).

**ცუდი მოხუცი:** ამერიკა შორსაა, რუსეთი ახლოს!

**ბ-ნი რეზოს ხმა:** ამერიკაში საზღვრები მაინც არ ჩაუკეტავთ თავიანთი მოქალაქეებისთვის, ამ დროს, საბჭოთა კავშირიდან გასასვლელად, ან

თვითმფრინავი უნდა გაგეტაცებინა ან უკიდევანო ზღვა გადაგეტყურო, – ჩვენს შემთხვევაში შავი ზღვა, პონტოს ექსინის, – რაც, ბუნებრივია, უცილობელ სიკვდილს ნიშნავდა. ღამის 12 საათის მერე ზღვასთან მისვლა არ შეიძლებოდა – ადგილზე დაგხვრეტდნენ მესაზღვრეები. არანაირი ღამის რომანტიკა ზღვის პირას - პირდაპირ სიკვდილი! ჩვენ წავგართვეს ღამის ზღვა, მოგვისპეს გადაადგილების საშუალება, ჩაგვეკეტეს ატომურ საზღვრებში, დაგვანღუნგეს ერთფეროვანი საბჭოური ფილმებითა და პროპაგანდისტული ტელე-გადაცემებით, მოგვცეს ტალონები კარაქისთვის და დაგვაფიწყეს მთავარი რამ: უკაცრავად, თავისუფლება! 70 წლით დაგვაფიწყეს ჩვენი დამოუკიდებლობის დღე - 26 მაისი. *(კმელოფილი იცინის. სერიოზულდება)* ღირდა ამდენ ნერვიულობად ეს ერთი ხარი? არ იყო საინტერესო?

5.

### **წოლა ავტობუსის საბარგულში.**

**ნანა:** დიახ, ვადასტურებ: ავტობუსის საბარგულით პირველად 1997 წელს ვიმგზავრე. იმხანად ღამისაა სახლები გაქონდა ხალხს: ძლივს შეგვატიეს და ორი დღე გვამყოფეს საზღვარზე. დალიეს მაშინ ვიღაც სულელებმა და ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, თუმცა ამათ გამო არ გავუჩერებივართ, არ ესმოდათ ჩვენი ხმა: ზევით იჯდა ვიღაც, ვისაც საბუთები არ ჰქონდა წესრიგში. ხოდა ჩამოსვეს, ჩანთა გადმოაღებინეს და კინალამ მაგ ფუთებს გადმოყვა ორი სული – ჩემი ასაკის ქალები. მაგრამ გადარჩნენ: იმისთანა ფერი ედოთ სახეებზე, ჩემი აზრით, ჩანთები ეგონათ. სიბნელეც გვშველოდა. ფანარს მოატარებდნენ საბარგულის შიგთავსს და მშვიდობიანად გაგეტყუებოდნენ. მით უფრო მაშინ, როცა მესაზღვრეებს მძღოლის ან რომელიმე

ჩვენი წარმომადგენლის ხელით ქრთამი ჰქონდათ აღებული. თუმცა, როგორც ამბობენ, ბოლო წლებში ქრთამიც აღარ ჭრიდა. უწინ ბევრს ნახულობდნენ ჩვენნაირს და წოლით თუ სხვა გზით შესვლას ახლა აღარ გაპატიობენ. ერთი მხრივ, ევროკავშირი, მეორე მხრივ, ეგრეთ წოდებული „ვარდების რევოლუციის“ გზით მოსული მთავრობა. მაგრამ იმაზე კი აღარ ფიქრობდნენ, რატომ წვებოდა დატანჯული დევნილი ქალი ავტობუსის საბარგულში. რა უნდა ყოფილიყო ამაზე სარისკო? ჰაერი არაა და თუკი დიდხანს გაგაჩერეს საზღვარზე, შეიძლება ვეღარც გაუძლო: სული შეგეხუთოს და მოკვდეს. და თუკი დაგიჭირეს – ყველაზე ცოტა, უკან შერეკვაა და ყველაზე ცუდი – ციხე. მთავარი იყო, საზღვრებს გადაცდენოდი, თორემ მერე კი ავიყვანდნენ ზევით, სალონში. ადგილებს, ბოდიში, ვერ მოგართმევდნენ, მაგრამ ქვევით წოლას ისევ ზევით დგომა ან თუნდაც გასასვლელში ჯდომა ჯობდა. ხშირი იყო გულისწასვლაც, მაგრამ ერთი შეჯანჯღარება და ისევ გონზე მოდიოდი. ადამიანი მაინც ძლიერია. თუმცა ჩემი ახლობლის ნაცნობი მკვდარი გადმოუყვანიათ აქედან – გულის უკმარისობით გარდაცვლილიყო და მკვდარი კაცი წინ და უკან უტარებია ავტობუსს: მიცვალებულმა ექვსჯერ გადალახა საზღვარი. მაგრამ მაინც მომგებიანი იყო ასე მგზავრობა: იაფიც იყო და არც ვიზა გჭირდებოდა. ასე შემოვედი მე და ასე შემოვიდა ჩემი არაკანონიერი მეუღლე. ეს უბედური რეზო ბრძანებდა: „ასეა, ბნელი გვირაბი უნდა განვლო, სანამ სამოთხეში შეხვალ“. რომელ სამოთხეში? სად იყო სამოთხე? მე სამოთხე არ მინახავს.

**ნანა - ტელეფონით ხელში, წინ - ცუდი მოხუცი:**

**ცუდი მოხუცი:** ორი შვილი მოკლა და ქმრის საცოლეს!

**ნანა:** ჩვენი მედეა არ კლავს!

**ბ-ნი რეზოს ხმა:** ჩვენი მედეა მათი მედეაა, რაზე ვდაობთ.

მაგრამ, ღმერთო ჩემო, რა შესანიშნავია, რომ ამაზე კამათის სურვილი გიჩნდებათ. ოღონდ ნუ იბრძვით, „ჩემი-შენი“ აქ არ ჭრის. კულტურა ყველასია.

**ცუდი მოხუცი:** მკვლელია, მკვლელია!

**ნანა:** სამ თვეში თვითონ მოკვდა და ექვსი თვე უსამსახუროდ ვიყავი. მქონდა დანაზოგი და ვეძებდი სათანადოდ მოსაველელ მოხუცს, რაც ნამდვილად არ გახლდათ ადვილი: ისეთი პიროვნება მჭირდებოდა, რომელიც სიკვდილ-სიცოცხლეს შორის იქნებოდა გამოკიდებული. არც ფეხზე მდგომი მოხუცი მინდოდა და არც მთლად ლოვინად ჩავარდნილი, რადგან ამ შემთხვევაში არც ერთს არ დაჭირდებოდა ჩემი ხედვა და მოვლა. მხოლოდ, თუ შეიძლება ასე ითქვას, შუაში მყოფი გახლდათ ჩემთვის მისაღები. ექვსი თვის თავზე განვებამ სწორედ ასეთი პიროვნება გამომიგზავნა: ჩემს მიმართ უდიდესი პატივისცემით განწყობილი 95 წლის ქალბატონი, ჩემი დედა და ბებია, შვილი და და, მეგობარი და სპეციაკი სული. მფარველი ანგელოზი, როგორც ჩემთვის, ასევე უამრავი გაჭირვებული პიროვნებისთვის საქართველოში.

7.

**ვინ იყო დარდინი?**

**ნათელა:** ნანაზე არ შეიძლებოდა იმის თქმა, რომ იყო ღამაზი ან იყო მიმზიდველი მამაკაცისთვის, ნანა იყო ჩვეულებრივი ქალი, რომელიც მრავალი პირადი თუ ზოგადი პრობლემის გამო ბევრად უფროსი ჩანდა თავის ასაკზე, ვიდრე სინამდვილეში იყო. პქონდა სიმსხვილეში გადასვლის საშიშროება და დიდად არ აქცევედა ყურადღებას თავის გარეგნობას. მაგალითად, მან ჩემი უშუალო ჩარევის შედეგად მოიცვალა ტუნის კუთხეებში გასული თმოვანი წარმონაქმნი, რომელიც ნამდვილად არ ტოვებდა მაინცდამაინც სასიამოვნო შთაბეჭდილებას. აქ

მასხენდება მცირე კურიოზი: ტუნიდან შესაბამისი ასაკრავის აგლეჯის შემდეგ, მისი პირის ზევით გაჩნდა გრძივი წითელი ზოლი, ერთგვარი ლაქა, რომელმაც კანის შეტრუსვის შთაბეჭდილება შექმნა. ამის გამო, ნანა ორი კვირის განმავლობაში ვერ გამოვიდა სახლიდან. რა მინდა ამით ვთქვა: ეს ქალი არ განხლდათ მამაკაცების ყურადღებით განებივრებული, ამიტომ, როცა ერთმა პიროვნებამ გამოიჩინა მის მიმართ გარკვეული ინტერესი, მე ყველანაირად ვეცადე, რომ ეს ინტერესი უფრო სერიოზულ ურთიერთდამოკიდებულებაში გადაზრდილიყო. ახლავინ იყო ეს პიროვნება. ეს პიროვნება 2005 წელს ჩამოვიდა წლიით მდგომარეობაში – ავტობუსის საბარგულის მეშვეობით, ვინაიდან ჰქონდა შეთავაზება, რომ ემუშავა ბიზნესზე ყურადღების მიქცევის და მფარველობის კუთხით. თუმცა არა ეგრეთ წოდებული კანონიერი ქურდის სტატუსით, რადგან როგორც ცნობილი იყო, მას არ ჰქონია ეს სტატუსი. 2005 წელს, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ამ სტატუსის მქონე თუ არ მქონე, ბევრი წამოვიდა საქართველოდან. ეს პიროვნება ჯერ კიდევ არასრულწლოვანობის დროს მჯდარა ციხეში – 16 წლის ასაკში, ჯგუფური ელფლიქტის დროს, მოეკლა თავისივე თანატოლი და ნაცნობი. ციხეში შევიდა ყმაწვილი და იქიდან ზრდასრული კაცი გამოვიდა. სწორედ მსჯავრდებულობაში მოპოვებული ურთიერთნდობა ზე დაბყარებული პატივისცემის გამო, მას რეკომენდაცია მიეცა ემუშავა ეგრეთ წოდებულ „მფარველად“ ქალაქ ათენში არსებულ კუბოების დამამზადებელ ცენტრში, სადაც კვარტლურად იღებდა გასამრჯელოს. მას ასევე ჰქონდა მცდელობა იგივე სტატუსით შესულიყო ავტობუსის ხაზში „ათენი-ქუთაისი-თბილისი“, თუმცა ეს მცდელობა უშედეგოდ დასრულდა ხაზის სხვათა მიერ დაკავებულობის გამო. მე იგი ვავიცანი ჩემი ახლობელის მფლობელობაში მყოფ სადალაქოში, სადაც მას ასევე ჰქონდა

გარკვეული ინტერესი, და მაშინვე მივხვდი, რომ მისი მიზანი იყო პირადი ცხოვრების აწყობა მეტნაკლებად სტაბილურ, უზრუნველ და მშვიდ ვითარებაში. თუმცა ჩემი აზრით, მას აქაური მოქალაქე უფრო სჭირდებოდა, ვიდრე თუნდაც ეკონომიურად შედარებით ფეხზე მდგომი ქართველი ქალი. ჩემს მიერ ეს იმთავითვე იყო ამოცნობილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამას ჩვენი ახლობლობისთვის ნამდვილად არ შეუშლია ხელი. ჩემი მიზანი არ ყოფილა ქართველი პიროვნება და უფრო ღრმა ურთიერთობა დასაწყისშივე გამოიჩინა. მართალია, მე 7 წლით უმცროსი ვიყავი ნანაზე, მაგრამ მე ჩემი ხედვა მქონდა ამ ყველაფრის მიმართ. მან სწორედ ჩემი მეშვეობით მოახერხა გარკვეული სტატუსის მოპოვება ხსენებულ სადალაქოში, რადგან უკვე დიდი ხანია წამოსვლა უნდოდა კუბოების ცეხიდან, რაზან, თუკი მის სიტყვებს ვენდობოდი, ძალიან ეშინოდა სახელდობრ მიცვალებულების. ეს ყოფილა, თურმე, მკვლელების დააჯადება. ჩემი მეშვეობით მოხდა მისი და ნანას გაცნობა. მე დავღუპე ნანა და დარდინმა დაგვლუპა სამივე.

8.

ტროსტი რატომ უჭირავს?

დარდინს კრიალოსანი და ტროსტი უჭირავს. აცვია სპორტული პიჟამო. ნანა, ნათელა, კარგი მოხუცი.

დარდინი: (კარგ მოხუცზე) ეს მკვდარია უკვე, თქვენ, უბრალოდ არ აღიარებთ ამას.

ნათელა: ნეტა მეც ასე მკვდარი ვიყო. (იციინის).

დარდინი: ეს რომ არაა ცოცხალი, თქვენ არ გინდათ ამის აღიარება, იმიტომ რომ ძნელია სამსახურის შოვნა.

ნათელა: რა გინდა, დარდინ? რას გვერჩი? არც მკვდარი



უნდა იყოს და არც სიარული შეეძლოს, რადგან მკვდარი თუა, ჩვენ არ ვჭირდებით და ფეხზე თუ დგას, მომვლელი რად უნდა. შუაში უნდა იყოს, არც იქით, არც აქეთ.

**დარდინი:** ესე იგი, ჩემსავით.

**ოღნავ მოგვიანებით, დარდინის გარეშე:**

**ნათელა:** იმ დღეს, ტელეფონის ნომერს მეკითხება. მიმხედავი თუ ყავს მაგ ბავშვსო.

**ნანა:** ბავშვი მე ვარ? ვაი მაგის პატრონს.

**ნათელა:** რას გიშლის. იყოს. აბა, აქაური თუ მოგეკარა და ქალიშვილი დაუხვდი, ეგონება – ავად ხარ. ქალიშვილი თუ ხარ 40 წლის ასაკში, ან რაღაც ავადმყოფობა გაქვს და გადამდები ხარ, ან სხვა დონეზეა პრობლემა – ტვინში. აქ ასე უყურებენ.

**ნანა:** არავის საქმე არაა, ქალიშვილი ვარ თუ არ ვარ ქალიშვილი. მე ჩემი დამოკიდებულება მაქვს და ვისაც როგორ უნდა, ისე იყოს. ყველას ვერ ასიაშოვნებ.

**ნათელა:** ღია იყო ერთი, აქაური პიროვნება მოწონდა, მაგრამ ერიდებოდა, ქალიშვილი რომ იყო. შეიძლება დაეცინა იმ კაცს, ცუდად ელაპარაკა სხვებთან და დაეკნინებინა იგი, როგორც ქალი. ზოგმა ასე იცის აქ. ხოდა ურჩიეს გოგოებმა, ჯერ ჩვენნიანისთვის მიეცა ქალიშვილობა და მერე მისულიყო იმასთან.

**ნანა:** ორთან უნდა ყოფილიყო ერთდროულად?

**ნათელა:** ორთან რატომ? ჯერ ერთთან, ვისიც არ მოერიდებოდა, ქალიშვილი რომ იყო და მერე მეორესთან, ვისთანაც ეს იყო მოსარიდებელი.

**ნანა:** ამას მტერი თუ გირჩევს მარტო.

**ნათელა:** მოიძებნა, ერთი სიტყვით, ასეთი პიროვნება.

**ნანა:** აქაური?

**ნათელა:** არა, ქართველი. ქართველი არ დაგცინებს.

**ნანა:** როგორია, როცა ქალი დაცინვის შიშით გიწვება! საწყენია ძალიან. რა ქნა მერე?

**ნათელა:** ცოლად მოიყვანა.

**ნანა:** ვინ?

**ნათელა:** ამან ეს ღია. ქართველმა ქართველი.

**ნანა:** და ბერძენი?

**ნათელა:** ბერძენი ვიღას ახსოვდა. შეუყვარდა და ცოლად გაყვა. პირველი მაინც პირველია. ბერძენისთვის კი ქნა, მაგრამ ასე ინება განგებამ. (*ოცინის*) განწყობაზეა ეს: სხვისთვის რომ შვეები, უფრო თამამად შვეები და თუ ბედია, ეს შეგერჩება მერე. უფრო ლაღად ხარ.

**ნანა:** ხოდა მომინახე, ბატონო, ვინმე სათანადო და აქაურს მე თვითონ ვნახავ მერე. თავისი პასპორტით. ოღონდ ეს დარდინი არ მინდა. ტროსტი რატომ უჭირავს?

8.

**სხვისთვის თუ ჩემთვის?**

**აივანი ზღვას გაჰყურებს. კარგი მოხუცის ფეხებთან საჭმლის ნარჩენებით სავსე სათლი დევს. ნანა, დარდინი.**

**დარდინი:** როცა დამიჭირეს, სამი-ოთხი საკაბელო არხი იყო ტელევიზორში, მეტი არა. ხალხი ავტომატებით დადიოდა ქუჩაში. ტყიბულში ორ-ოთახიანი ბინა გაცვალა კაცმა საახალწლო გოჭში. დღესაც მანდ დგას მაგ კორპუსი. გამოვედი და სხვა ქვეყანა დამხვდა. ფული აქვს ამას?

**ნანა:** ფული როგორ არა აქვს. იურისტი დადის და ხელზე ეფერება. ამბობენ, ანდერძში უწერია, რომ ვის ხელშიც მოკვდება, იმას დაუტოვებს დიდ ფულს.

**დარდინი:** მოკალი მერე (*ოცინის*).

**ნანა:** თავს მოვიკლავ, ერთი დერი თმა რომ ჩამოუვარდეს.

**დარდინი:** ქმარი არ გყოლია შენ?

**ნანა:** არა.

**დარდინი:** დედმამიშვილები?

**ნანა:** ძმა მყავს უმცროსი. მე ვუგზავნი საჭმლის ფულს.  
ციხეშია.

**დარდინი:** რაზე ზის?

**ნანა:** ლომბარდში შეცვივდნენ და ორი კაცი მოკლეს.

**დარდინი:** რა ქვია?

**ნანა:** სახლში ზის, ციხის რა იცის მაგან. მოგატყუე.

**დარდინი:** რატომ?

**ნანა:** ცუდი რომ არ მაკადრო რამე (*იციინი*).

**დარდინი:** ბევრი არაკაცია აქ და მე ნუ მაწყენინებ მაგათ  
გამო. არ ვარ საშიში.

**ნანა:** არაა ადვილი ჩემი შეშინება. ერთხელ, რვა საათი  
ვეჯექი სასახლვრო პუნქტში რუს ჯარისკაცებს და  
სულ თქვენობით ვალაპარაკე. ჩაი დამაღვეინეს, ხომ  
არ გშიაო, მკითხეს. ერთი საცოდავი საშივი მქონდა  
და მეზიზღებოდა მაქეთ გადასვლა, მაგრამ საზღვრის  
იქით მყავდა დედა და დეიდა. სახლი გვქონდა  
ჭუბურხინჯში და არ შეიძლებოდა ამის დატოვება.  
ასე ფიქრობდა დედაჩემი.

**დარდინი:** დედაჩემი ტყიბულშია და რაც მაქვს, იქით  
იგზავნება. ის კიდევ ორად ყოფს და სენაკში  
აგზავნის თავის ძმასთან. მე მკვდარზე ვარ, ამ დროს;  
და მკვდარი კუბოზეა. მკვდარი უნდა მოდიოდეს,  
გასაგზავნი რომ იყოს რამე. მაგრამ არ კვდებიან  
აქეთ. (*იციინის კარვ მოხუცზე*). ეს ხომ იქნება უკვე  
100 წლის.

**ნანა:** ახლა აფხაზეთში თუ გინდა გადასვლა, აიღებ  
აფხაზურ მწვანე პასპორტს და თავისუფლად  
გადახვალ. მაგრამ არ უნდა ყველას მწვანე  
პასპორტი, არც საქართველო ცნობს მაგ მწვანე  
პასპორტს და არც დანარჩენი მსოფლიო. რუსეთის  
გარდა. ნათესავის შვილი მყავს იქ და თუკი მწვანე  
პასპორტს აიღებს, აფხაზურ ჯარში წაიყვანენ,  
მაგრამ ძნელია ბიჭისთვის: როგორია, ქართველი  
იყო, აფხაზურ ჯარში წაგიყვანონ და ქართველების  
სიკვდილს გასწავლიდნენ. თან „ქართველს“ ვერ წერ  
მაგ ნაციონალიზმაში, ან „აფხაზს“ ჩაგაწერინებენ ან

„მეგრელს“ და წერენ ჩვენები „მეგრელს“, რა ქნან – აფხაზის ჩაწერას, ისევ მეგრელის ჩაწერა ურჩევნიათ. გვარები კიდევ ერთნაირია. ზოგს ჩვეულებრივი მეგრული გვარი აქვს, მაგრამ არც მეგრული იცის, არც ქართული - აფხაზად თვლის თავს და რუსულად გელაპარაკება. იყო ასეთი შემთხვევა ჩემს ნათესავებში, რომ აფხაზ ბიჭს მოეწონა ერთი ჩვენი გოგო და მერე შეიტყო, ერთი და იგივე გვარი რომ ჰქონდათ. ოღონდ დანებება აღარ უნდოდა: არ ჯეროდა, ნათესავები თუ იყვნენ, ეგონა – ის სხვაა, ეს სხვა, ამ დროს, მანდ ნათესავი ხარ, ერთი გვარი თუ გაქვს. ეს ცნობილია.

**დარდინი:** რა გვარი ხარ? გულს ნუ გამისეთქავ ოღონდ (იცინის).

*ნანა: თვენახევარი იარა ასე ვადასტურებ, რომ იყო სიმპათია, იყო მისგან ყურადღება და ჩემგან არაფერი არც სერიოზული, არც არასერიოზული. მეთქი, რას მიშლის. ფული უნდოდა? რა ფული მე მქონდა! მერე გაქრა ორი კვირით და მაშინ მივხვდი, რომ ეს იყო ჩემი მხრიდან მისი მონატრება. კინაღამ უჭმელი დამჩნა ეფთაღია. რაცა ვაბანავებდი, გული გაუჩერდა და მეგონა, მოკვდა, თუმცა რამდენიმე წამში გაახილა თვალები. ნიშანივით მივიღე რაღაც: თითქოს ჩემშიც გაცოცხლდა ის გრძნობა, რომელიც თუ მქონდა, არც მეგონა. ქალი ქალია მაინც. ვინმე თუ იხენს მის მიმართ ყურადღებას, ფიქრს იწყებს ძალაუნებურად. დარდინი ისევ გამოჩნდა თვის ბოლოს და შეეცვალა მეგობრობა სითბოთი. ზღვაზე არ დავდივარ – სხვაგან იყო ჩემი ზღვა, არ მინდოდა ამითი – ამიტომ შაბათობით ჩვენს კაფეში ვხვდებოდი ერთმანეთს. ეფთაღია აღარ გამოძეგვდა, დარდინი ვერ უძლებდა ამის წუწუნას და ჭამას – მე მჭამდა თვალებით. ასე ვხედავდი. კოცნა არ იყო. იყო მოფერება. შავი კაბა მეცვა ერთხელ – ჟურნალს მოყვა და ძალიან მომწონდა. ჩვენთან ამოვიდა, მაგრამ ღამე არ დარჩენილა, დივანზე დავწექით. როგორც იქნა,*

*შედეგა ურთიერთობა. თითქოს გაუჭირდა ამის ქნა.  
უნდოდა, რომ დამეთმო, მაგრამ რომ დავთმე, ეწყინა.  
დამაკნინა, თავისი ტკუით.*

**დარდინი წველს ზემოთ შიშველია, სავარძლის კიდეზე  
ზის. ნანა წვეს.**

**დარდინი:** რა იყო, გაშლილი ქოლგა შეგივიდოდა.

*პაუზა*

**ნანა:** შენ გამო არ მიქნია ეს. არ მინდა აქაურებმა იფიქრონ, რომ ავად ვარ და რამე მჭირს.

**ნანა:** გული ვატკინეთ ერთმანეთს. მაგრამ მაინც შევიგუე. გავხადე პიუამო, გადავუგდე ტროსტი და ვუყიდე ფეხსაცმელები. ორჯერ მომეშალა მუცელი – ერთხელ ჩემი ნებით, ერთხელ თავისით. აქ შვილი რად მინდოდა. ტვირთი იქნებოდა ზედმეტი. მეთქი, უკვე გეყავს შვილი – 100 წლის ხდება. ვეუბნები: დაარქვი სახელი და ვზარდოთ. ვიყოთ ამ ქალის დედ-მამა. ბრაზობდა ჩემს ხუმრობაზე. 2007 წელს დიდი წმენდა მოაწყვეს არალეგალურად მცხოვრებ ემიგრანტებში და 21 მარტს თვითმფრინავში ჩასვეს ჩემი დარდინი. სახლში არავინ შემოგვივარდებოდა, მაგრამ ქუჩაში ეგლო მთელი დღე. მატყუებდა: კუბოს ცეხში მივდივარ და, ამ დროს, ომონიის მოედანზე იდგა, უსაქმურ ქართველებთან ერთად. სიცოცხლის ათი წელი დაგკარგე იმ დღეს. გაქრა დარდინი! თუმცა ორ კვირაში დარეკა და მითხრა, რომ ტყიბულში იყო. ექვსი თვე ვუბზავნიდი ფულს. მეთქი, ჩაჯექი, შეგაწვენი ავტობუსში და საზღვარზე გადმოხვალ. არ ქნა, ეშინოდა. ჩამოვხში. ვერ მცნობდა ნათელა. ჩემი მოხუცი უკეთ იყო ფერზე, ვიდრე მე. 40 ათასი ვერო მქონდა უკვე მოგროვებული და მეთქი, რაც არის, არის. ვიფიქრე, ორ ფართს ვიყიდი: ერთს გავაქირავე, ერთში ვიცხოვრებ. მზად ვიყავი, მიმეტოვებინა აქაურობა და საქართველოში დავბრუნებულიყავი,

მაგრამ როცა 2007 წლის ნოემბრის მთავრობის საწინააღმდეგო მიტინგებს ორ-კვირიანი საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება და მიხეილ სააკაშვილის გადადგომა მოჰყვა, დაბრუნებაზე უარი ვთქვი და გადავწყვიტე, აქედან დავხმარებოდი დარდინს: შესაბამისად, საქართველოში კიდევ ერთი სარჩენი სული დამემატა. უფრო სწორად, ორი, ვინაიდან დედამისისთვისაც ვეზავნიდი ფულს. მაგრამ ფაქტობრივად ყოველდღიურად ვთხოვდი აქ ჩამოსვლას, რაზეც ორი მიზეზით არ მთანხმდებოდა: პირველი მიზეზი იყო დედა, ხოლო მეორე – საზღვარზე გადმოსვლის შიში. ამბობდა, რომ თუკი მეორედ დაიჭერდნენ, უკან აღარც გამოაბრუნებდნენ, უკვე აქაურ ციხეში მოახდევინებდნენ სასჯელს. მას სჭირდებოდა ნამდვილი სამსახური და არა ეგრეთ წოდებული „მფარველის“ სტატუსი, რადგან ამის საჭიროება საქართველოში აღარ არსებობდა. ის არ ყოფილა კანონიერი ქურდი, მაგრამ ადრე თუ გვიან აუცილებლად აღმოჩნდებოდა გისოსებს მიღმა და რას უშვებოდნენ სააკაშვილის დროინდელ ციხეში ასეთ ხალხს, ეს მთელი მსოფლიოსთვის ცნობილია: ან ცოცხს შეუდებდნენ ლაჯებქვეშ ან პაპიროსს საჯდომში. მე მას ვუქირავე ერთ-ოთახიანი ბინა, სადაც ის გადავიდა მარტო, დედამისის გარეშე. ეს კი უდავოდ იყო ჩემი შეცდომა, რადგან დარდინს ყველანაირი პირობა შეეუქმენი, რომ ჩემთვის არაერთხელ ეტკეინებინა გული. მე არ მჭირდებოდა ინფორმატორები, ბევრჯერ დამიდასტურდა, რომ დარდინს სხვადასხვა დონის ქალები დაჰყავდა ჩემ მიერ ნაქირავე ბინაში. მაგრამ ეს შეცდომები ერთბაშად დამავიწყა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა. 2008 წელს რუსები ზუგდიდში და ფოთში შევიდნენ აფხაზეთიდან, ხოლო გორში და ხაშურში – ეგრეთ წოდებული სამხრეთ-ოსეთიდან. მათ დაბომბეს ფოთი, ბათუმი, სენაკი, გორი და თბილისი, ტანკებით ჩადგნენ მთავარ ტრასაზე და თითქმის ერთი თვის

განმავლობაში ორად გაყვეს საქართველო. არ მახსოვს, იმ დღეებში რას ვაკეთებდი – მე და ვივიწყე ძმა და ძმისშვილები, მამიდა და დეიდა, ნათესავი და ნაცნობი, ვეძებდი მხოლოდ დარდინს, რათა სანამ ჯერ კიდევ შეძებლო, გამომეყვანა ნახევრად ოკუპირებული საქართველოდან. ცა დაეკეტა, მატარებელი გაჩერდა (*რუსებმა რკინიგზის ხიდი ააფეთქეს ვორთან*) და საშიშროება იყო, რომ აღარც თურქეთში გასულიყვნენ ავტობუსები. თუკი რუსები თბილისშიც შევიდოდნენ, ყველაფერი დამთავრდებოდა. მე არ მოვითმინე ოღონდ: დარდინი ვაიძულე, ბათუმში ჩასულიყო, იქიდან სარფში, 500 ევრო მიეცა რუსტამ-ტურის ავტობუსის მძღოლისთვის (*რომელსაც ათენიდან დავუკავშირდი*), შეწოლილიყო საბარგულში და ამ გზით გადმოეღებოდა საზღვარი. დარდინი ტიროდა, რადგან ებრალებოდა ტყიბულში დარჩენილი დედა (*რუსები იმერეთშიც შესულიყვნენ ეგრეთ წოდებული სამხრეთ-ოსეთიდან*), თუმცა მოვახერხე და დავაჯერე, რომ 80 წლის ქალს არავინ არაფერს დაუშავებდა. დარდინი დაჰყვა ჩემს სურვილს და ერთ-ერთ ბოლო ავტობუსს გამოყვა საქართველოდან. ავტობუსის პოვნა არ გახლდათ ადვილი და ერთი პირობა იმასაც ვფიქრობდი, რომ ბენზინის გადამზიდავ მანქანაში ჩამესვა (*ოთხი სატვირთო ვადიოდა სარფიდან, მავათ კიდე კუზალში აქვთ ხუთი-ექვსი სულის დასაწოლი ადვილი, თუმცა ვერ წვები ბოლომდე, ზიხარ ფაქტობრივად*), ხალხს ნაცადი ჰქონდა ასე წასვლა და აქებდნენ: ჰაერი უფრო მეტიაო. ბენზინის სუნი მდგარა მარტო. მაგრამ ბოლოს რუსტამ-ტურმა გვიშველა. დარდინი დაბრუნდა.

9.

**მოვიდეს, დასაქმდეს**

**ბ-ნი რეზოს ფოლკლორის ცენტრი. ათენი.**  
**ტელევიზორში ჩანს 10-12 წლის ბიჭი, რომელიც**  
**თავგამოდებით ცეკვავს კინტაურს.**

**ბ-ნი რეზო:** *(უყურებს ეკრანს. ნანახ)* სიტყვას ვერ ამბობს ქართულად, მაგრამ იმდენად მძლავრი გენეტიკური კოდია, რომ ბუნებრივად ებადება მოძრაობები. შეხედეთ, რა ფორმებია, რას შერება კუნთი! შეიძლება ვილაც სეკეპტიკოსმა, უკაცრავად, არამზადამ, გვითხრას, რომ მას დაგრეხილი ფეხები აქვს და კინტავრის ტანი, თუმცა ნამდვილად არ დავიდლები ასეთ ხელმოცარულ ანთროპოლოგებთან კამათით. არ დავთმობ თუნდაც ამ ასიმეტრიულ ტანს, რომელიც არა კურტუმოს საქნევად, არამედ მართლაც კავკასიონის მწვერვალებზე რბოლისთვისაა შექმნილი. კავკასია ცივილიზაციის აკვანია და ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა იმ ფაქტით, რომ სწორედ ჩვენთან, დმანისში, აღმოაჩინეს უძველეს ჰომინიდთა რამდენიმე თავისქადა. ნანა, თქვენ მეგობრობთ ინტერნეტთან? არ გაინტერესებთ სამეცნიერო სიახლეები? თუ მხოლოდ ტელეფონით სარგებლობთ? *(იცინის)* ჩემი შეველა აღარ დაგჭირვებიათ უკანასკნელ ხანს, დაამარცხეთ დილექტანტ-პენსიონერთა არმია? ხომ არ დაგვიწყებიათ, რომ მეორედ მოსვლის უამს მესია თქვენს მშობლიურ ენაზე, ქართულად მოსთხოვს პასუხს ცოდვილებს? ამას მე არ ვამბობ, ავტორი –იოანე ზოსიმეა. ვიცნობდეთ X საუკუნის ავტორებს! ნეტა თარგმნილია ბერძნულად? *(უყურებს ეკრანს)* შეხედეთ, განა უძველესი ჰომინიდი არ ცეკვავს ახლა? ნახეთ, რა ვაჟკაცური და ელევანტურია! ამ დროს, არავის უსწავლებია მისთვის ცეკვა, ეს ინსტინქტია. მე მინახავს თქვენი დარდინი და, მახსოვს, ათლეტური



ტანი ჰქონდა. მოვიდეს, დასაქმდეს, ქართული ჭიდაობა მაინც ასწავლოს ბავშვებს. არ იცის ჭიდაობა? ასპროცენტიანი ბედოვლათია?

**ნანა:** მე ასე ვერ ვიტყვოდი, ბატონო რეზო. ეგრეთ წოდებული მფარველის სტატუსით მოღვაწეობდა რამდენიმე დაწესებულებაში.

**ბ-ნი რეზო:** მფარველი ანგელოზია?

**ნანა:** აქ კუბოების ცეხში მუშაობდა უწინ და ითრეუნებოდა იმ გარემოებით, რომ ასე თუ ისე, მიცვალებულებთან იყო ეს საქმე დაკავშირებული. აგვისტოს ომის დროს აქ ჩამოვიყვანე და ახლა მინდა, ადამიანური მოღვაწეობით დაკავდეს.

**ბ-ნი რეზო:** შვილია თქვენი თუ ქმარი?

**ნანა:** არ ვიცი, რა ქვია ჩვენს ურთიერთობას, მაგრამ, ჩემი გადმოსახედით, სასირცხვილო ამაში არაფერია.

**ბ-ნი რეზო:** ისიც მანქანის კაპოტზე წოლით ჩამოვიდა?

**ნანა:** როგორ?

**ბ-ნი რეზო:** კაპოტზე ზევიდან. თუ ვცდები, უკაცრავად, ეს სხვაა. კაპოტზე დაება ერთი... შემახსენეთ, თავად როგორ ჩამობრძანდით?

**ნანა:** ავტობუსის საბარგულით. მე ვიწვექი ჩანთების განყოფილებაში.

**ბ-ნი რეზო:** საოცრებაა. ეს იგივეა, რაც კოსმოსში გასვლა. ოღონდ ქვე-კოსმოსში, რადგან ჰაერი არც იქაა, არც აქ. მეტისმეტად შეკუმშული სივრცე გახსნილ სივრცეს უდრის.

**ნანა:** ასეთ დროს ძალიან ადვილია სიკვდილი. ხშირია გაგუდვის შემთხვევა.

**ბ-ნი რეზო:** თქვენ რა მოგკლავთ, ნანა, სივიწროვეს უნდა შევეჩვიოთ. რუსებმა ნახევარი ქართლი შეიერთეს და მალე ვეღარც დავეტევით. ქართველებს საკუთარი სახლებიდან ყრიან და მავთულხლართებს აბამენ. მე ვნახე ფოტომასალა, სადაც რუსი ჯარისკაცები სხედან გათხრილ საფლაკებთან და ხელში ქართველების თავისქალები უჭირავთ. აი, ესაა რუსული არქეოლოგია. *(უყურებს მოცეკვავე*

*ბავშვს* შეხედეთ, ტერფებს რას უშვება! ღმერთო ჩემო, სადღა ვიცეკვოთ? რაღა დაგვრჩა? საწყალი ჩემი ქვეყანა, მალე ვეღარც გავინძრევით! ეს ბიჭი ჩემი ქვეყნის აღდგორიაა. შემახსენეთ თქვენი ეგრეთ წოდებული მფარველის სახელი?

**ნანა:** დარდინი.

**ბ-ნი რეზო:** დარდინი იტალიელია? (*ოცინის*) ვხუმრობ. მოვიდეს, საინტერესოა. გარკვეული ქარიზმის მატარებელია. სად გაიცანით?

**ნანა:** ნათელას მეშვეობით. ისევე, როგორც თქვენ.

**ბ-ნი რეზო:** (*თითქოს იხსენებს*) ნათელა ჰომინიდი. ისევე მოხუცებს უვლის? ყოჩად ამ ნათელას! თქვენი წაქცევა შეუძლებელია. თან რამსიმძიმე ჩანთებს დაათრევთ, ოლიმპიური ჩემპიონები ხართ. წადით ოლიმპიაში, თქვენი ადგილი იქაა. ეს დარდინი მორალურად მაინც გიდგათ გვერდით? ჩანთებს თუ დაათრევს? რა ცხოველია? შეუძლია სიყვარული და თქვენი დაფასება? თქვენზე უმცროსი უნდა იყოს.

**ნანა:** 9 წლით.

**ბ-ნი რეზო:** ცოტაა. თუმცა მეც ასე ვიფიქრე. გაჰყევით ჩემი იუმორის სვლას, ნუ დაიბნევით.

**ნანა:** ქუჩაში ტყავის ჩანთებს ვერ გაყიდის აფრიკელი ემიგრანტებივით. იმათ თავისი მფარველები ჰყავთ.

**ბ-ნი რეზო:** აქ ფინანსური კრიზისია. სტაბილური ადგილის შოვნა გაძნელდა. პრინციპში, კუბოების ცეხი ყველაფერს სჯობია. შემოსავალი ყოველთვის ექნება. თმას იპარსავს ტანზე? აქაურების მოდას აჰყვა?

**ნანა:** დარდინი ბუნებრივად არაა თმიანი.

**ბ-ნი რეზო:** აქ ყველა იპარსავს. ფიზიკური სხეულის კულტია. ქართული ჩოხა მოუხდება. მაქვს რამდენიმე კაცი მართლა მოკლული ჰყავს?

**ნანა:** ბავშვობაში.

**ბ-ნი რეზო:** ეს არც ითვლება. სიმპათიურია. რატომ დადის კრიალოსანით? უთხარით, მოიშოროს ეს საშინელი პროვინციული ჩვევა. სად დაკრძალეთ თქვენი უკანასკნელი მოხუცი?

**ნანა:** არ მომკვდარა, ღმერთმა კიდევ დიდხანს მიცოცხლოს.

**ბ-ნი რეზო:** ვერ დავიჯერებ. ზუსტად იცით?

**ნანა:** მე ვუვლი.

**ბ-ნი რეზო:** თუკი ერთი წლის განმავლობაში არ მოკვდება, გირჩევთ, ცოცხლად დაფლათ. ვხუმრობ. მომიყვანეთ დარდინი, რამეს მოვუძებნი. არ მინდა ეს გენი გამთხლევედეს. ეგ ზემპლარია. ნახეთ, რამდენი ბეწვი აქვს ჩვენს პრეისტორიულ ზეზვას? არ გინახავთ მისი ფიტული ისტორიის მუზეუმში? სანთლით ვეძებ სიმპათიურ ქართველებს. აქ ხომ ყველას მახინჯები ვგონივართ.

10.

**რა არის ქართული?**

**ბ-ნი რეზო, დარდინი**

**ბ-ნი რეზო:** შენნაირ ვაჟკაცს აუცილებლად უნდა ჰყავდეს ბევრი შვილი. ეს გენი არ უნდა გამთხლევედეს; ისეთ ათლეტს, როგორც შენ ხარ, გვარის გამგრძელებელი სჭირდება. ან თუნდაც ღირსეული ზრუნვის ობიექტი. დარდინი – ასოციაციებს ადრიატიკის ზღვისკენ მივყავარ, თუმცა ფუძე, ალბათ, ქართული „დარდია“. ჩვენ ყველანი ვდარდობთ! ჩემი ერი სამიათასწლოვან დარდშია ჩაფლული. საქართველოდან 20 წლის წინ წამოვედი, მაგრამ მანამდეც შინაგან ემიგრაციაში ვიყავი წასული. ღამე გავდიოდი ქუჩაში, ის ფარისეველი ხალხი რომ არ დამენახა. დღე მეძინა და ღამე ვფხიზლობდი, როგორც ვამპირი. ვერ ჩავეწერე იმათ ყოფაში. თუმცა დაბრუნება ახლაც არ მინდა: მართალია, მოდერნიზაციის პროცესია დაწყებული, მაგრამ რატომღაც ვფიქრობ, რომ ხალხი მაინც ჭაობში ზის – მენტალურ ქაქში. მე კი ჩემი საქართველო მაქვს – დახვეწილი და იმპოზანტური.

მოგვიანებით, ჩემი ხანჯლების კოლექციას განვიხილავ არ გაინტერესებს სტატისტიკა, რას აშენებენ საქართველოში ყველაზე ხშირად? ეკლესიებს და პოლიციის შუშის შენობებს.

**დარდინი:** ღვთის მადლით.

**ბ-ნი რეზო:** შენ მოგწონს? მაშინ მეც მომწონს. მსიამოვნებს, ახალგაზრდები რომ დაახლოვდით რწმენასთან. აქ მარტო სიბერეში ახსენდებათ ღმერთი. მკვლევლობაზე მჯდარხარ. როდის?

**დარდინი:** 16 წლის ასაკში.

**ბ-ნი რეზო:** ვინ იყო?

**დარდინი:** ქალაქიდან იყო ჩამოსული. ან ის მომკლავდა, ან მე. ორი წლით უმცროსი იყო ჩემზე.

**ბ-ნი რეზო:** იქვე მოკვდა? ბევრი სისხლი დაკარგა?

**დარდინი:** ის მახსოვს, სიცოცხლე რომ დაკარგა და რამდენი გრამი, არ ვიცი.

**ბ-ნი რეზო:** ფსიქიკამ დაბლოკა. კარგი პასუხია. ქართული ცეკვა თუ იცი?

**დარდინი:** *(თითქოს ირონიულად)* ცეკვა გნებავთ?

**ბ-ნი რეზო:** უკვე მახსენებ. *(იცინის)* აქ ქართველი ბავშვები დაჰყავთ, რომელთაც შესაძლოა სრულიად დაკარგონ კავშირი თავის სამშობლოსთან, ამიტომ მე მჭირდება ენთუზიასტ ადამიანთა ჯგუფი, ვინც მათ გაახსენებს ან შეასწავლის, რა არის ქართული. ოღონდ – ქართული საუკეთესო გაგებით. მე მქონდა საუბარი შენს სულიერ მშობელთან და ამიტომაც განჩნდა იდეა, რომ დამხმარებოდი. ამიტომ საინტერესოა, რა არის ის „ქართული“, რაც შენ გეხერხება. ხმებში სიმღერა? შაირობა? ჭიდაობა?

**დარდინი:** ადრე ფეხებით ვიცოდი ჩხუბი. *(იცინის)*.

**ბ-ნი რეზო:** საინტერესოა. აქ მჯდომარე წესით ცხოვრობს ხალხი. მათ შორის, ბავშვებიც. დონდლო ფეხები აქვთ, დიდი ბარძაყები. ქვევითაც ათლეტი ხარ?

**დარდინი:** ვინმე ვაწუხებთ?

**ბ-ნი რეზო:** რას ქვია – მაწუხებს, იქით ვაწუხებ საწყალ ხალხს. როცა აქ მუსიკა ირთვება და ბავშვები

დოლ-გარმონის ქვეშ იწყებენ ცეკვას, მთელი ქუნა აქეთ იყურება. ერთადერთი, შუადღის 2-დან 4-მდე არ ვცეკვავთ და, ბუნებრივია, ღამის 10-ის შემდეგ, რადგან აქ ყველას ძინავს ასეთ დროს. ძილი – წმინდაა. თუ მეკითხები, რა მაწუხებს ზოგადად, ამაზე დაუსრულებლად შემოიძლია წუწუნი: მე მაწუხებს ადამიანთა სინისტე, მტანჯველი თიაქარი და აგრესიული რუსეთი. თუმცა ეს დეტალებია. ისე არ გაგიშვებ, რომ ჩემთან არ გავასშმო. ჩვენ უკვე მეგობრები ვართ.

11.

**კარგი მოხუცი საუზმის დროს ესაუბრება დედამისს.**

**კარგი მოხუცი:** ჩემი გულშემატკივარი არავინაა. აქ ჩემი მოკვლა უნდათ.

**ნანა:** კარგი ქალი გივლის, უდიდეს პატივს ვცემ, ახლოს არავის მოუშვებს. ნუ ნერვიულობ.

**კარგი მოხუცი:** რუსი?

**ნანა:** ქართველი. მისი თანდასწრებით არ წამოგცდეს, თორემ გულს მოუკლავ, არ იმსახურებს.

**კარგი მოხუცი:** მანდ ნორმალურად გაჭმევენ?

**ნანა:** კი, სამჯერადი კვებაა.

**კარგი მოხუცი:** პატივს გცემენ?

**ნანა:** რასაკვირველია.

**კარგი მოხუცი:** არჩვენებზე დადიხარ?

**ნანა:** ბევრჯერ მოვტყუედი, აღარ ვენდობი.

**კარგი მოხუცი:** აქ კაცი ყვირის ღამ-ღამობით.

**ნანა:** არ ყვირის. საუბრობს. მკედარი არაა, ემოციური პიროვნებაა.

**კარგი მოხუცი:** არ მიყვარს ემოციური პიროვნებები. ისევ გათხოვდი?

**ნანა:** ნუ აგდებ, წუწუნე, ან შეეცადე, დაღეჭო.

12.

**ვარცხნილობა**  
**ნანა, დარდინი**

**ნანა:** დარდინ, უნდა ვიცოდე, როდის მობრუნდები, რადგან არ არის მიზანშეწონილი გარეთ სიარული შუადამისას. მით უმეტეს – არალეგალურად მცხოვრები ემიგრანტებისთვის. რა გინდა, ისევ ავტობუსის საბარგულით მოგიწიოს მგზავრობა? სად მიდიხარ?

**დარდინი:** მოვალ.

**ნანა:** არ მაწყენინო, დარდინ. იცოდე, პატიებაც ვიცი და დიდი ბოღმაც ვარ.

**დარდინი:** ჩემ ბებიად არავის დაუნიშნისხარ. (*ფულს აძლევს*) აიღე. და შარვლებს ნუ იცვამ. განზე ხარ გასული.

**ნანა:** (*უყურებს ფულს*) რა არის? (*კარგ მოხუცზე*) ამას ჰქონდა რამე?

**დარდინი:** ამას კბილები აქვს მარტო ოქროსი.

**ნანა:** უნახე?

**დარდინი:** ხელები შენ გაქვს მაგის პირში.

**ნანა:** საიდან ეს ფული?

**დარდინი:** ღმერთიდან.

*დარდინი გადის.*

**ნანა:** შემოსავალი გაუჩნდა. მოდიოდა და ღებდა ევროებს: აჰა, ფეხსაცმელი! აჰა, შამპუნი! ან გვიან ბრუნდებოდა სახლში, ან საერთოდ არ ბრუნდებოდა. მინდოდა ჩხუბი, მაგრამ ვერ ვეჩხუბობდი: ხელფასი შემიმცირეს, გამიუქმეს თავისუფალი კვირა-დღე, ევროპაში დაიწყო ფინანსური კირიზისი, გაკოტრების პირას დადგა ქვეყანა. ჩემს ძმისშვილებთან ფულის გაგზავნა შეეწყვიტე, ამ დროს, წინა წელს მარტო აქედან 16 მილიონი შესულა საქართველოში. თან

ვისგან? ჩვენგან – ამათი მომვლელებისგან. ევთალია, შენ ავსებდი ჩემი ქვეყნის ბიუჯეტს, შენი სიკვდილი არ შეიძლებოდა! თითო დღე – თითო ევროა! დარდინის ფულიც ფული იყო, უარს ვერ ვეტყვოდი, თუმცა უნდა მეტყვა. ტანსაცმლით აავსო კარადა. მკერდზე და მუცელზე გაიკრიჭა თმა. ტელეფონი იყიდა ახალი. ვეკითხები: „მოპარულია?“, მპასუხობს: „მანუქეს“. მოიტანა ტელევიზორი. ვეკითხები: „განუქეს?“, მპასუხობს: „გიყიდე“. ვფიქრობდი: ამდენს რას უნდა იღებდეს რეზოსგან? რას აძლევს?

**დარდინი ბრუნდება. სხვა ვარცხნილობა აქვს. მთვრალი მოდიოდა. სად იყავი, დარდინ?**

**დარდინი: ჩაიჯვა ამან?**

**დარდინი ძველებურ ვერცხლისფერ დამბაჩას იღებს, რომელსაც ზურგს უკან მაღავედა და კარგი მოხუცის სახესთან მიაქვს.**

**ნანა:** რას შვები, დარდინ? არ მიყვარს, როცა ამით თამაშობენ. ჩემს ნათესავს გაუფარდა ერთხელ, ახალ წელს, და უნივერსიტეტში გამოცდებ-გავლილი ძმა მოკლა. ვინ მოგცა?

**დარდინი:** შენამდეც ვცხოვრობდი, თუ გახსოვს. (*ნანას შუბლზე ადებს იარაღს*) ტვინს აგასხმევენებ კედელზე. ტყვიები არ მაქვს.

**ნანა:** რა გინდა, კიდევ ჩაიფსას?

**დარდინი:** ენას ამოიდგამს შიშისგან. ამის ასაკში სხვები გამართულად ლაპარაკობენ. ეს უბედური ჩამორჩენილია.

**ნანა:** დარდინ, სად დადიხარ? დაგიჭერენ, თუკი გინახეს. მაგას საბუთი სჭირდება.

**დარდინი:** მარტო ამას უნდა საბუთი? მე საბუთით ვარ, ან შენ? ეს უფრო კანონიერია, ვიდრე მე. უკანონოდ მიძინავს აქ, უკანონოდ ვჭამ და უკანონოდ გტყნავთ.

**ნანა:** რეზოზგან აიღე? იცის მაგან? არ მომწონს მე ეს იარაღი და არც შენი მისვლა-მოსვლა.

**დარდინი:** რომ არ მოგწონს, ვინ ხარ? რა გინდა, აქ რატომ მოგყავარ? რატომ მეკითხები, როდის მოვალ? რატომ მიდებ ტვინში, რომ აქ უნდა მოვიდე? რა ვალი მაქვს შენი?

**ნანა:** მე დაგაბრუნე, თუ გახსოვს.

**დარდინი:** რატომ დამაბრუნე? მე გთხოვე?

**ნანა:** შენს გამო არც ძმა გამხსენებია ომის დროს, არც ძმისშვილები და არც საწყალი მამაჩემის საფლავი. ყველას უჭირდა, მაგრამ შენ წამოგიყვანე. თუ არ გინდა, წადი. ხვეწნას არ დაგიწყებ.

**დარდინი:** წამომიყვანე, იმიტომ რომ კაცი გინდოდა.

**ნანა:** მე კაცი არ მინდოდა.

**დარდინი:** სადაა ის ბერძენი კაცი, შენ რომ უნდა დაწოლილიყავი ჩემს მერე? ჩემი არ შეგრცხვა და ომის შეგრცხვებოდა?

**ნანა:** ეჭვიანობ, დარდინ?

**დარდინი:** გაეხია იმას შენი აპკი, მე გამაკეთებინე შავი საქმე? სადაა? როდის მოვა?

**ნანა:** არ არსებობს ბერძენი კაცი. მაშინ ჯინაზე გითხარი.

**დარდინი:** ჭკუას მარიგებ აქ და სხვას ელოდები შენი მუტლით. გამოჩნდება და როგორც ეს აგლებს ვედროში თავის ნაღვეს, შენც ისე ჩამაგდებ. სადაა ბერძენი?

**ნანა:** არ არის არავინ.

**დარდინი:** არის და მოგტყენავს.

**ნანა:** ჩაწიე, არ მოხვდეს... *(კარგ მოხუცს ეფარება. ტირის)* რა გინდა, ცუდად ვართ? ცუდად ვცხოვრობთ? გვიშლის ვინმე? გაწუხებთ მე ან ეს? შენ უვლი? შენ აჭმევ? შენ ასმევ? არ გაძინებს ღამე? წამოიტირებს და მაშინვე მივდივარ, შენ რომ არ შეწუხდე. ისე ვაძინებ და ისე ვადვიძებ, კრინტი არ გესმის ამისი.

**დარდინი:** თუ არის აქ ტყვია, ან შენია, ან ჩემი, ან მისი.



**ნანა:** რაზე მსჯი? რამე დაგიშავე?

**დარდინი:** სადაა ის კაცი, აქაურ პასპორტს რომ მოგცემს?  
როლის გვიხმარს?

**ნანა:** *იმ დღეს დავრწმუნდი, რომ ეს პიროვნება ჩემშია შეყვარებული. ძნელია სხვისთვის ამის გაგება, მაგრამ მისი სიტყვები სიყვარულის ახსნად მივიჩნე. ასე არ მეტყოდა, ჩემზე რომ არ ყოფილიყო მობმული ემოციურად. ჩხუბობდა, მაგრამ ცრემლები ეღვა თვალებში. ასე დავიანახე.*

13.

**სად დადის დარდინი?**

**ბ-ნი რეზო, ნანა, კარგი მოხუცი**

**ბ-ნი რეზო:** *(უღიმის კარგ მოხუცს)* აი, ჩვენი ქვეყნის ხაზინა, ჩვენი ბიუჯეტი! რა მოსწრებული შენიშვნაა, ნანა! ამას არც შეხებია ფინანსური კრიზისი – უბრალო ხალხი და საჯარო მოხელეები ისრისებინ, თორემ ასეთები ვეღარც გრძნობენ ფულის კლებას. ამის ქმარი თუ ძმა – ზუსტად არ მახსოვს – ოცდაოთხი გემისა და სამი თბომავალის მფლობელი გახლდათ, შენ გესმის, ეს რა დონეა? რა გვარებია! მთელ საქართველოს იყიდდნენ! ახლა კი, ბოდიშს ვიხდი, გინდ ჰქონია, გინდ არა, მის ქონებას შვილთაშვილები დახრავენ. თავად საზღვარზე დგას: წინ - ქაოსია, უკან - სიკვდილი. არც წარსულია, არც მომავალი. ნეტა ანდერძში მაინც გახსენოთ! ვიცით ანდერძი?

**ნანა:** მე არავინ მაჩვენებს.

**ბ-ნი რეზო:** უნდა ნახოთ. დაინტერესდეთ. ოღონდ დელიკატურად, ტაქტის გრძნობით, თქვენ არ შეგეშლებათ. მშობლის სტატუსი გავადლებულვით, უნდა იცოდეთ, რა გრჩებათ შვილისგან მემკვიდრეობით. *(იციბის).*

**ნანა:** მთავარია, დიდხანს იცოცხლოს, ესაა ჩემი მიზანი.

**ბ-ნი რეზო:** მას თქვენ აცოცხლებთ, თორემ კარგა ხანია, მკვდარი იქნებოდა. თქვენი თრევაა მისი მისია. ამ დროს, ვინ იცის, როგორ სწყურია მის სულს ამ დაჩიავებული სხეულიდან გამოძრომა. მას ხომ ანგელოზები ელიან, ნამდვილი მშობლები, წმინდანთა დასი, თქვენ კი ქუთაისელი ნათესავების რჩენას აიძულებთ. ეს კი, პრინციპში, საკმაოდ არაქრისტიანული საქციელია, თუმცა ვინ იცის, იქნებ არა სამოთხეში, არამედ ცეცხლოვან გეენაში უმზადებენ ადგილს! და თუკი ასეა, მაშინ თქვენს გვერდით ყოფნა უჯობს. ეს სუმრობაა, ნუ ღელავთ. (*საათზე იყურება, შეოთავს*) საინტერესოა, სადაა ეს კაცი? არ მომწონს თქვენი დარდინის უთავბოლო ხეტიალი აქეთ-იქით, მეტისმეტად საშიშები გახდნენ აქაური ნაციონალისტები – ემიგრანტებს აბრალებენ თავის გაჭირვებას... გეგონება, ევროკავშირის ფული ჩვენი შეჭმულია! მობილურიც გამორთული აქვს. სადაა? ისაიღია მაინც? არ მომწონს, იმ ნაგავს რომ ჭამს. რას უშვება თავის ორგანიზმს! მოვიდეს და ჩემი ხელით ვაჭმევ. მეტი რა ვქნა! ბავშვივით ჯიუტია. მოგეწონათ წითელი ჟაკეტი, მოუხდა?

**ნანა:** ძვირფასი ყველაფერი უხდება.

**ბ-ნი რეზო:** მეორეც ვუყიდე, მწვანე. არ მომწონს, როცა შავებს იცვამს. თან სახიფათოა: მაშინვე ხვდებიან, რომ არალეგალური ემიგრანტია. შავი პერანგი, შავი შარვალი, დაბღვერილი სახე – ეს ხომ სანქციაა! მინდა ღია ფერის შარვალი ეცვას – მაგალითად, ყვითელი, თუმცა ვიცი, არ ჩაიცვამს. უნდა ვიბრძოლოთ ამისთვის, თქვენი იმედი მაქვს.

**ნანა:** არ ჩაიცვამს, თავისი მოდა აქვს.

**ბ-ნი რეზო:** (*ბრაზობს*) ეს მე ერთმნიშვნელოვნად არ მომწონს ეს მოდა!

## ისევ დააბრუნეს

ნათელა: ჩემთვის არ იყო ცნობილი, როგორ ცხოვრობდნენ, მე ჩავთვალე, რომ კარგი საქმე გავუკეთე ორივეს და მართალი ვიყავი ღმერთის წინაშე. ასევე უნდა ვთქვა, რომ აგვისტოს ომის შემდეგ, როცა დარდინი ავტობუსის საბარგულით დაუბრუნდა თავის არაკანონიერ მეუღლეს, მე არ მქონია მათთან განსაკუთრებული ურთიერთობა. ჩვენ ერთმანეთს ვხვდებოდით ჩვენებურ და ამათ შობებზე, ახალ წლებზე და აღდგომებზე. ესე იგი, ჯამურად, დიდი-დიდი ექვსჯერ-შვიდჯერ, თუმცა ასევე ერთი-ორჯერ წყვილად გავასუიონეთ ჩვენ-ჩვენი კუთვნილი ბებია-ბაბუა. ხოლო იმ დღეს, 26 მაისის ზეიმამდე თვენახევრით ადრე, მე ნანამ დამირეკა და მითხრა, რომ დარდინი ერთი კვირის წინ გასულიყო სახლიდან და აქამდე არ მიბრუნებულა. ნანა იყო სულიერად განადგურებული და ფიქრობდა, რომ დარდინს ან ქართველ კრიმინალურ ჯგუფებთან მლოუვიდა კონფლიქტი ან, უფრო უარესი, აქაურ ნაციონალისტურ ბანდებთან. ის ხელავდა კომმარულ სურათებს: რომ მისი არაკანონიერი ქმარი ან დაჭრილ-ნაცემი ან, საერთოდ, მკვდარი გდია სადმე. მე მას მლოუყევი, როგორ დავინახე არალეგალური გზით ჩამოსული ემიგრანტებით სავსე პოლიციის ავტობუსები და გამოვთქვი ეჭვი, რომ შესაძლოა დარდინიც მჯდარიყო აფრიკელ თუ აზიელ დევნილებთან ერთად, რადგან სწორედ იმ დღეებში ათენში ჩატარდა ეგრეთ წოდებული წმენდა, სახელწოდებით „სტუმართმოყვარე ზევსი“ (ასე თქვეს ტელევიზორში) და ქუჩებში დადგა ასობით სპეც-რაზმელი. თუმცა იყო შეკითხვა: სად დარდინი და სად ის დევნილები? დარდინს ერთბაშად ვერც მიაკუთვნებდი რომელიმე ერთ რასას – იგი იყო

თეთრიც და შავიც. მუქი ფერის ტანსაცმელი ეცვა უბრალოდ, თორემ სხვა მხრივ იერით ნამდვილად პგავდა აქაურს, მით უმეტეს – ბოლო ხანში, როცა მოკლედ აქონდა წვერი შეკრეჭილი და თმაც ამათნაირად კეფისკენ ჩაზრდილი. მე მაშინ არ ვიცოდი რეალური ვითარება, თორემ აუცილებლად ვეცყოდი მის არაკანონიერ მეუღლეს – ფაქტის წინაშე მოგვიანებით დავდექი და შეუფერებელი სიტუაციის მიშვალი გაგხდი. ქვის გული არ მაქვს: თუკი ბოდიში მეთქმის, ესაა. ჩემს საქციელს დიემოთი შემიხდობს. გონზე არ ვიყავი. ყოველთვის მჭირდებოდა და ახლაც მჭირდება ექიმის მუღმივი მეთვალყურეობა. მე ვხედავდი, როგორ იტანჯებოდა ჩემი ნანა და როგორ ღელავდა ბატონი რეზო, რაც არ გახლდათ მაინცდამაინც გასაგები მოვლენა. თუმცა დარდინის ზარმა ნანას მეტნაკლები შვება მოჰგვარა: დარდინმა თქვა, რომ ის მართლაც სპეც-რა ზმს აეყვანა 8 აპრილს და ახლა უკვე საქართველოდან რეკავდა. ის ათენი-ქუთაისი-თბილისის ავტო-რეისისთვის გაუყოლებინათ სხვა დეპორტირებულებთან ერთად. დარდინი ისევ გააგდეს. ასე ამცნო ნანამ ეს ამბავი მის ვარშემო შეკრებილ გულშემატკივარ საზოგადოებას.

ნანა: მაგრამ მე მითხრა, რომ ის წავიდა თავისი ნებით და არანაირი პრობლემა არ აქონია სპეც-რა ზმთან. მან თქვა: „მანდ ხელს ვერ დამაკარებს ვერავინ“. მე ვკითხუ: „რატომ წახვედი? როგორ წახვედი? ვინ წავიყვანა? რატომ არ მითხარი?“, რა ზეც ნამდვილად არ აქონია დამაჯერებელი პასუხი. მე ვიფიქრე, რომ მიზეზი ქალია და ჩავეძიე, მართლაც იყო თუ არა ეს ასე, მან კი თქვა, რომ „ის კაცია“ (მაშასადამე, ბატონი რეზო) საშიში პიროვნება და მისი მიზეზით ბევრი შეცდომა დაუშვა. პირადად მე მრავალჯერ მომიხადა ბოდიში და დამაბიძგა, რომ აქტიური კონტაქტი ექნებოდა ჩემთან. მე ვკითხუ: „რას ჭამ? სად ცხოვრობ? დედაშენთან წახვალ?“, მაგრამ პასუხი არ მოუცია. ეს იყო ჩემთვის ელდა. მე ვიყავი, როგორც

მკვლარი. არ მოველოდი მისგან ასეთ დარტყმას. რატომ წავიდა? რა მოხდა? რატომ იყო საშიში ხსენებული პიროვნება? შრომის ხალისი დაეკარგე, თუმცა ბედნიერი ვიყავი იმით, რომ ცოცხალი მაინც იყო და მკვლარი არ ეგდო სადმე. იმ დღეებში ჩემი მოხუციც მოკვდა, გული გაუჩერდა და ნიკაპი ჩამოეწია, მაგრამ რამდენიმე წუთში ისევ გაახილა თვალები, საჭმელი მომთხოვა და თხუთმეტი წუთის განმავლობაში წუწნა ცარიელი ციმი. არ კლავდა არაფერი – გინდა ნახშირი ეჭამა, გინდა უმი ხორცი. მაშინ პირველად ვუძახე: „მოკვდი! მოკვდი! არ მინდა შენი ხელფასი!“ თავს შეურაცხყოფილად და დაჩაგრულად ვგრძნობდი – მე მომკლა დარდინმა. არ ვიმსახურებდი მისგან ასეთ ქცევას. არ ვიცოდი, რა მეფიქრა და რისი მოლოდინი მქონოდა. მე დავეყურებდი ტელეფონს: როდის დამირეკავს? რას იზამს? მაღაზიის მანეკენს ლურჯი ჟაკეტი ეცვა და დარდინსას მივამგვანე, დავდექი და არ განვძრეულვარ – ერთი საათი ვტიროდი, ამ დროს, ცრემლები რა იყო, აღარ მახსოვდა: 15 წლის წინ ავუკრძალე ჩემს თავს ტირილი. მაგრამ კიდევ უფრო დიდი ტკივილი გახლდათ საუბარი ეგრეთ წოდებულ „საშიშ კაცთან“. არ ვიცოდი, რისი თქმა შეიძლებოდა მისთვის და რისი – არა.

15.

2000 ევრო

ბ-ნი რეზო, ნანა

ბ-ნი რეზო: რატომ არ ჩაეკითხეთ, ნანა? მონებად იშვით ეს ქართველი ქალები! რატომ არ აიძულეთ, ვიდეო-თვალით დაერეკა! მე შემძლია შპალერით გამოვიცნო, თუ რა ქვეყანაში იმყოფება კონკრეტული პიროვნება! ენა შემოგესმათ? რა ჟღერდა ფონად? მე გადმომცა რამე?

**ნანა:** არაფერი, ჩვენს შორის შედგა მხოლოდ მწირი საუბარი: დაადასტურა, ცოცხალი რომ იყო და უცებ გათიშა.

**ბ-ნი რეზო:** ის ცოცხალია, ჩვენ მეკვდრები. რა ყოჩაღია! მეზიზღება ეს უმადური ჯიში! ეს უნდა იცოდეთ: მან მიითვისა ჩემი ოქროს საათი (*გამქრალია და ეჭვი მასზე მაქვს*), ოთხი წყვილი ფეხსაცმელი (*დამზადებული კრეტული ტყავისგან*), მუხრან-ბატონთა ნაქონი შევერცხლილი ხევესურული ხანჯალი, 2000 ევრო, რომელიც საწერი მაგიდის უჯრაში მედო და ფაიფურის ანგელოზი, რომელიც ყოველთვის ჩემი მფარველი იქნება და არა მისნაირი დაუნახავი ხეპრესი. თუმცა ჩემგან ნუ დაელოდება დიდსულოვნებას: დაიკითხებით თქვენც და დაიკითხება ყველა განავალი, ვისაც კი ოდესმე მასთან ჰქონია შეხება.

**ნანა:** ეს ბოლო სიტყვები არ უნდა გეთქვათ, ბატონო რეზო, ჩვენი მშველელი იყავით თქვენ და ღმერთად მყავდით აღიარებული, რამდენჯერ დამხმარებისხართ თუნდაც იმ ვითარებაში, როცა აქ უჯიშოს და უკულტუროს მეძახდნენ, რა დამავიწყებს თქვენს მამაშვილურ და მასწავლებლის შესაფერის სატელეფონო ზარებს! მაგრამ ეს რამ გათქმევინათ – ჩემი დაკითხვა როგორ შეიძლება? პოლიციის მოსვლა და ჩემი დაჭერა ერთი იქნება!

**ბ-ნი რეზო:** მაშინ თქვით, სად იმალება? სად წავიდა? ჩემთან რატომ არ გამოდის პირდაპირ ხაზზე? ისეთ გვარებს ვიცნობ, ისეთ ოჯახებს ჩავრთავ, ერთხელ და სამუდამოდ გადაგეკეტებათ მომაკვდავ ობიექტებთან მისეგლის გზა!

**ნანა:** არ დავიღლები თქვენთვის მადლობების გადახდით – თქვენ მაცოცხლებდით იმ სატელეფონო საუბრებით, მაგრამ მე არ მომწონს ჩვენი ურთერთობისთვის შეუფერებელი მუქარის ტონი!

**ბ-ნი რეზო:** გამქურდეს, უმადურება გამოიჩინეს და თავს ლაფი დამასხეს! რა ვქნა, ანეკდოტები მოვყვებ თუ

დექცია წაგიკითხოთ საქართველოს ისტორიაზე? ნანა, მე თქვენ არ გიცნობთ, მე ვიცნობდი გაჭირვებულ ქართველ მანდილოსანს, მაგრამ ახლა ეს ეტაპი დასრულებულია: ან იტყვიოთ სადაა, ან ხვალ პოლიცია მოგადგებათ. ხოლო განაგლისგან შექმნილ არსებას, სახელად დარდინს, გადაეცით, რომ ჩემთან ბრძოლა უადრესად სახიფათოა. პასუხს ველი ხვალ ოთხი საათისთვის, ორიდან ოთხამდე მძინავს და არ მიყვარს, როდესაც ცუდ ამბავს მატყობინებენ გაღვიძებისას.

16.

**ხმა**

**ნანა:** *(ტელეფონში)* რატომ ჩაგაცივდა? რატომ უნდა მოვიდეს პოლიცია? რა მოპარე? როდის ჩამოხვალ?

**დარდინის ხმა:** უთხარი – საქართველოშია, უთხარი – ქალი ყავს. ცოლი ყავდა და გამოჩნდა. რაც გინდა, უთხარი.

**ნანა:** მართლა გყავს?

**დარდინის ხმა:** არ მყავს არავინ.

**ნანა:** ვიდეო-თვალი არ გაქვს?

17.

**ფიცი**

**ბ-ნი რეზო, ნანა**

**ბ-ნი რეზო:** აბა, რა ვქნათ, ნანა – ულტიმატუმი ულტიმატუმი.

**ნანა:** ბოდიშს გიხდით, არ გელოდით ასეთ დროს.

**ბ-ნი რეზო:** როგორც მოჩვენება, ისე ამოვიზარდე მიწიდან, მაგრამ მე არ ვარ საშიში, მე ნაწყენი ვარ: მე მომაცუე და გამქურდა მეგობარმა, ეს კი

მიუღებელი და აუტანელია. ღამეები არ მძინავს; მე სიზმრებში ვხედავ თქვენს დარდინს და ნაღალატევი ვიღვიძებ. უწინ მე მესიზმრებოდა ჩვენი ხეივანი ბახტრიონზე, ზაფხულის საჩხერე, ექსპედიციები ნეკრესსა და გრემში; დედა, რომელიც რაღაცის თქმას ღამობს და გამოთქმა უჭირს, და მე მეგონა, რომ ეს ავადმყოფობაა, ნოსტალგიაა, ნანა, თუმცა ახლა ვხვდები, რომ ეს ბედნიერება ყოფილა, რადგან ჩემი კეთილი სიზმრები ბოროტი და ბოღმიანი სიზმრებით ჩანაცვლდა. მე ვხედავ თქვენს აგრესიულ დარდინს და ოფლში გაწურული ვიღვიძებ, რადგან არ მეგონა, თუკი მადლობის მაგივრად ასეთ უმადურებას მივიღებდი მისგან. რამდენი ნეხვი ამოვათრიე ჭაობიდან, რამდენს გავეუძართე ხელი, რამდენი განავალი ვაქციე კაცად ამათ თვალში... თქვენ გახსოვთ ჩემი სატელეფონო ზარები, ჩემი კომენტარები საქართველოს ისტორიის შესახებ... და აი, რა შემრჩა: უგულობა და მოპარული ნივთები, ზედ 2000 ევროთი! თან ფინანსური კრიზისის შუაწელს. თურმე, ტყუილად არ პოულობენ საქართველოში ჰომინიდთა თავისქალებს – ეს ჩვენი თავებია და არა ადამიანთა წინაპრების, წინ არც წავსულვართ! ფულში არცაა საქმე, მაგრამ იცით თუ არა, რას შევიძენდი ამ 2000 ევროდ? მე შევიძენდი ძილის წამლებს, რადგან ნოსტალგიამ, ნეო-ჰომინიდთა უმადურებამ და ჩემი დამპალი ქვეყნის უიღბლობამ სრულიად წამგვარა სიმშვიდე! მე შევიძენდი თვითმფრინავის ბილეთს და წავიდოდი საქართველოში, რომელიც 20 წელია არ მინახავს და შევიძენდი მარმარილოს, რომლითაც ჩემი წინაპრების საფლავებს მოვაწყობდი, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ფული აღარ მაქვს, ეს ფული მომპარეს, მე მომპარეს ქართული გენის რწმენა, მე შემაძულეს ქართული ცეკვა და ქართული სიმღერა, ქართული ჩოხა და ქართული ფოლკლორი, რადგან ახლა მხოლოდ ტყუილია მესმის სიტყვაში „ქართული“! ასე ნუ მიყურებთ, ფსიქოლოგი მე არ



მჭირდება, მსმენელის ნაკლებობას ჯერ არ ვუჩივი, მე ჩემი ფული და ღირსების აღდგენა მაღელვებს. ეს სიზმრები უნდა დამთავრდეს! სადაა თქვენი კაცი?

**ნანა:** (არგ მოხუცზე) ეს არ მენახოს ცოცხალი, თუ ვიცოდე, სადაა.

**ბ-ნი რეზო:** ვწუხვარ, მაგრამ რამდენიც არ უნდა დაიფიცოთ ტყუილზე, ეს არ მოკვდება. დაიფიცეთ ვინმე ჯანმრთელი, ოღონდ თქვენთვის ძვირფასი ახალგაზრდა და მხოლოდ მაშინ დაგიჯერებთ. არ გყავთ დედმამიშვილები? ვინმე პატარა, ვინც გაისად შევა სკოლაში? დაფიცება ადვილია ასი წლის მოხუცზე! არ ვხუმრობ. ხვალ პოლიცია მოგადგებათ და თქვენ დაკარგავთ ამ ქალს! შესაბამისად, შემოსავალს, ღირსებასა და სტაბილურ სამსახურს.

**ნანა:** მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და აქ აღარ დაედგომებოდა.

**ბ-ნი რეზო:** მძიმე მდგომარეობა – ზოგადი განაცხადია. რატომ? რა მოხდა, ამოთქვით!

**ნანა:** ქალს გაექცა, შეცდა, ჩემთან შეეშალა, იმან შანტაჟი დაუწყო და ვეღარც აქ შეძლო ცხოვრება. თვალეში ვეღარ მიყურებდა.

**ბ-ნი რეზო:** ვის გაექცა, რა ქალი, ვერაფერი გავიგე!

**ნანა:** შეიჩვია ძალაუნებურად. ამან დაღუპა.

**ბ-ნი რეზო:** სად? როდის? ვინაა ეს ქალი? სახელი, გვარი...

**ნანა:** ვინც შეგვეყარა, იმან დაგვაშორა. ახლობელი თუ გესურის ტყვიას. ნათელა.

**ბ-ნი რეზო:** რა სისულელეა! რა შუაშია ნათელა! რას ჰგავს!

**ნანა:** ჩემს დისშვილიშვილს გეფიცებით. ხუთი წლისაა, გაისად შედის სკოლაში, ფულს მე ვუბზავნი, კომპიუტერის ეკრანზე მისი ფოტო მიდევს. მე გავაგდე დარდინი, რადგან ვეღარ გადაწყვიტა, ვისთან უნდა ყოფილიყო – ჩემთან თუ იმასთან. ცალკე ნათელა იკლავს თავს. ორმაგად გაუბედურებულია, ორივე დაგვკარგა. არ მინდოდა ამის თქმა. მრცხვენოდა.

**ბ-ნი რეზო:** ნათელას გამო წავიდა? რა აბსურდია!

**ნანა:** მე გავაგდე და აღარც ნათელამ მიიღო.

**ბ-ნი რეზო:** რატომ?

**ნანა:** ცემა და იმიტომ, მუცელი მოუშალა.

**ბ-ნი რეზო:** ვის? დარდინს?

**ნანა:** არა, დარდინმა ნათელას. იქ უარესი დაატრიალა.

**ბ-ნი რეზო:** როდის მოასწრო? რამდენი წლისაა ნათელა?  
რა დროს მისი ბავშვია! გისმენთ და არ მჯერა.  
ბოდავთ? ნუთუ ასეთი ფლიდია! ახლა სადაა?

**ნანა:** რუსეთში.

**ბ-ნი რეზო:** უვიზოდ? გამორიცხულია! დააკავებდნენ!  
აქ რაღაც სხვაა... ვინ იშოვა? ამჯერად ვის ერგო  
წურბელად? რაღაცას მატყუებთ...

**ნანა:** ასე მითხრა.

**ბ-ნი რეზო:** დღე და ღამე ჩემთან ერთად იყო... მე ახლა  
შოკში ვარ, თქვენ ახლა ვერ მატყობთ... მაჩვენეთ  
თქვენი დისშვილიშვილის ფოტო ეკრანზე... არა, არ  
მინდა... მეზიზღება. აქ უპაელობაა... *(კარგ მოხუცზე)*  
ბოლოს როდის აბანავეთ? სად ცხოვრობს ნათელა... რა  
ველურები ხართ, რა მატყუარები... დღეს კომპარებს  
ვნახავ, ჯობია, არც დავიძინო.

18.

### მუცელი მოუშალა

ნანა, ნათელა

**ნათელა:** ჩემთვის არ უნდა დაგებრალეხინა, იმ 2000  
ევროს ახლა მე მომთხოვს.

**ნანა:** ჯინაზე არავინ გამსხენებია.

**ნათელა:** იმათზე უნდა გეთქვა, ვინც სოფელშია ან  
კუნძულებზე.

**ნანა:** ვინ? გგონია, მახსოვს სახელები? უნდა გენახა,  
რეებს მივედ-მოვედებოდი, ჩემი დის შვილიშვილი  
დავიფიცე, რომელიც ბუნებაში არ არსებობს.  
კომპიუტერზე მაქვს-მეთქი ფოტოსურათი. მართლა

მაქვს, ოღონდ ძმისშვილის და მაგას ვაჩვენებდი, ბოლოს და ბოლოს, მაგრამ ეს ბავშვი უკვე 15 წლისაა, მე კიდევ – გაისად შედის-მეთქი სკოლაში. ისე კი, მარტო სახეა გადაღებული, შუბლზე ხომ არ აწერია ასაკი. ბავშვს ვერ დავიფიცებდი ტყუილზე.

**ნათელა:** შენი აზრით, სადაა?

**ნანა:** ქუთაისში ზის.

**ნათელა:** რატომ?

**ნანა:** შენი აზრით -- რატომ?

**ნათელა:** ეგ არ იმსახურებს შენს თავს.

**ნანა:** მიშოვნე, ვინმე, ვისაც პასპორტი აქვს, მეტს აღარ შეგარცხვენ.

**ნათელა:** სახლში ქვეყანა ჯართი უყრია ამ ქალს, მიეცირეზოს, ვინ დაინახავს, ვითომ დათვლილი ექნებათ? 2000 ევრო კი ღირს ამის თითო სავარძელი!

**ნანა:** არ დაგავიწყდეს: თუ გკითხა – მუცელი გაქვს მოშლილი. დარდინმა გცემა.

18.

**შეხვედრა სუპერმარკეტთან**

**ნანა, დარდინი**

**დარდინი:** ველარ მცნობ?

*პაუზა. ნანა გაოგნებული უყურებს.*

რა იყო, მკვდარი ნახე?

**ნანა:** დარდინ, ცუდად ვარ. მესუმრები?

**დარდინი:** რას გესუმრები? ჩამოვედი. დავეცემი ახლა, თუ არ მაჭმევ.

**ნანა:** *(ტირის)* რას შეგები, დარდინ? მეთქი, ტელეფონზე დარეკავ.

**დარდინი:** არ დავრეკავ, აქ ვარ.

*პაუზა.*

**ნანა:** რას მატყუებ, დარდინ? არ მომეკარო. არ ყოფილხარ საქართველოში?

**დარდინი:** არა.

**ნანა:** ფული დაგეხარჯა და ამიტომ მობრუნდი?

**დარდინი:** ჩემი წასვლა იყო საჭირო.

**ნანა:** წასულიყავი მერე. რატომ არ წახვედი?

**დარდინი:** ვერ წავედი.

**ნანა:** სად გეძინა? ქალი გყავს?

**დარდინი:** არა, ახლობელი მყავს, არ იცნობ, იმან შემიფარა.

**ნანა:** მატყუებ. ფული გაგითავდა. ქალი გყავს.

**დარდინი:** და თუ მყავს, სადაა? რატომ მოვედი?

**ნანა:** წაიღებ რამეს და ისევ წახვალ. სადაა იმ კაცის ფული?

**დარდინი:** გამაგდე თუ გინდა, მაგრამ ხელს ნუ მკრავ. არ თქვა ოღონდ, რომ აქ ვარ. საქართველოში ვარ.

**ნანა:** არც აქ ხარ, დარდინ. რა გინდა? წადი, გთხოვ.

**დარდანი:** არც აქ ვარ, არც იქ. შენ გამო არა, ჩემს გამო.

**ნანა:** რატომ მოპარე ამ კაცს 2000 ევრო?

**დარდინი:** რაც მოსაპარი იყო, მაგან მომპარა. თუ მაჭმევ, მიშველი.

**ნანა:** ეს ვედროში აგდებდა საჭმლის ნარჩენებს და, ამ დროს, კაცს შავი პურიც არ ჰქონდა საჭმელად. თავი ასე მომანჯენა, ყოველ შემთხვევაში. აქ ყოფილა და ვითომ ქუთაისიდან რეკავდა. შეიძლებოდა შემთხვევით შემხვედროდა ქუჩაში. მე ვყოფილვარ სულელი. არ ვხსნიდი და ვერც ვხსნიდი. რა უნდა მექნა? გამეგლო? სად? ვისთან? ისე გამოვიდა, რომ ამჟამად ჩემთან იყო მალვაში. ჩემთვის ერთმნიშვნელოვნად საწყენი და აუხსნელი გახლდათ მისი საქციელი, მაგრამ თავს ვიკავებდი შეკითხვების დასმისგან: ჩემთვის მთავარი იყო, რომ ცოცხალს და ჯანმრთელს ვხედავდი, თუმცა პირველად სწორედ იმ დღეებში დაგვიქრდი, მიყვარდა თუ არა, საერთოდ, ეს პიროვნება? და თუკი მიყვარდა – რატომ? მართლა შვილი ხომ არ იყო!

ბატონმა რეზომ სამჯერ დამირეკა და პასუხისგან სამჯერვე შევიკავე თავი. მერე მოულოდნელი მესიჯი მომწერა: „ძალიან მრცხვენია, სინდისი მქენჯნის. უნდა შევრიგდეთ, ჩემგან ბოდიში გეკუთვნით, უნდა დავივიწყოთ მომხდარი“. დავიბენი, ასე უცებ რამ შეცვალა. ვიფიქრე, ნეტა დარდინის ეგრეთ წოდებული ჩამოსვლის შესახებ ხომ არ შეიტყო? თუმცა საიდან უნდა გაეგო? როცა კიდევ ერთხელ დამირეკა, ვუპასუხე და დიდხანს ვისაუბრეთ, რადგან მეცოდებოდა ეს კაცი და გულზე ლოდად მაწვა დარდინის მიერ მოპარული მისი ფული. მან მითხრა, რომ შუადღისას აღარ იძინებდა და აგზნებულ მდგომარეობაში იყო; ბევრი იწუწუნა, გააკიცხა ქართული ტემპერამენტი და უმორჩილესად მთხოვა, რომ მე და ნათელას მასთან ერთად აღგვენიშნა მოახლოებული 26 მაისის დღესასწაული. ასე თქვა: „მე უნდა შეგარიგოთ თქვენ და ნათელა“. ვუპასუხე: „უკვე შევრიგდით“. გაუკვირდა: „ხოდა ეს უნდა აღვნიშნოთ“. გამომართვა ნათელას ნომერი. მითხრა: „თქვენთვის მე საჩუქარი მაქვს, უნდა დავილაპარაკოთ“. შემეცოდა. ცუდზე არ ვფიქრობდი. უცნაური კაცი იყო. თუმცა არ მინდოდა, რომ ჩემი უქმე დღე მასზე გამეხარჯა. წასვლა არც ნათელას მოუნდა. რატომ უნდა მიგველო მიპატიუება! არ მოგვასვენა, რეკა და რეკა. შევეწუხდით. გადავწყვიტეთ, ცოტა ხნით მივსულიყავით. ნათელამ თქვა: „გიჟია, წავიდეთ, გვაცინებს, არაა სწორი მისი წყენინება“. დარდინისთვის არ გვითქვამს, მე ჩემი ურთიერთობა მქონდა იმ კაცთან. ვუთხარი: „წირვაზე მივდივართ ეკლესიაში“. დარდინი დარჩა მოხუცთან.

19.

## 26 მაისი

### ნანა, ნათელა, ბ-ნი რეზო

**ბ-ნი რეზო:** შამპანურის ბოთლი ნამდვილად არ უხდება ჩემს ბიბლიოთეკას. ცნობთ ამ დროშას? ეს 26 მაისის

დროშაა! საქართველოს პირველი რესპუბლიკის დროშა, რომელმაც 1921 წელს ძლივს გამოასწრო ბოლშევიკების მეთერთმეტე არმიას. მე ის შევიძინე ემიგრანტებისგან. რამდენი ტრაგედია უნახავთ ამ ფერებს: ბოლშევიკების შემოსვლა, 25 თებერვალი, ზვიად გამსახურდიას აღზევება და დაცემა, ედუარდ შევარდნაძის კლექტოკრატიული რეჟიმი... განსოვთ, როგორ მოინათლა? კომუნისტი „ედუარდი“ ქრისტიან „გიორგიდ“ იქცა. მე მეცინებოდა ჩვენს კათოლიკოს-პატრიარქზე, რადგან მან კომუნისტებითა და ჩეკისტებით აავსო ჩვენი დედა-ეკლესია. ბოდიში, თქვენ ღოღავთ? (*იცინის*) ცუდად არ გამიგოთ, თქვენ იტანთ ხუმრობებს ჩვენს პატრიარქზე, თუ აქვე მზად ხართ, ჩამქოლოთ?

**ნათელა:** რატომ უნდა ჩაგქოლოთ, ვინც იმას ვერ ხედავს, რამხელა სიბრძნე აქვს ჩვენი ერის სულიერ მოძღვარს, იმას ვერც ვერაფერს დაუმტკიცებ. მღვდლის განკითხვა ცოდვაა.

**ბ-ნი რეზო:** კი, ბატონო, იყოს ცოდვა, გადავიხდი, რამდენსაც მეტყვიან; რომელიმე ეპისკოპოსს შეეუძენ ძვირფას მანქანას და ათონის მთიდან გაეუგზავნი. (*იცინის*) ან ერთ პატარა ეკლესიას ავუშენებ. ნახეთ, როგორი ბიზნესი აქვთ აქაურ მართლმადიდებლებს? ეზოში ჩასადგამ ეკლესიებს ყიდიან, შეიძენ და თუ მოგინდება, სადარბაზოშიც ჩაიდგამ. აუცილებლად ვიყიდდი, 2000 ევრო რომ მქონოდა. ვხუმრობ. მე ეს დავივიწყე. შუადღის ძილი დავიბრუნე და ბედნიერი ვარ. 2-იდან 4-მდე მძინავს და თოთო ბავშვივით უცოდველი ვიდვიძებ. ერთი ესაა, სკაიპში ვიდეთვალე დამრჩენია და ჩემს ერთ ნაცნობს ნიფხვისა და ნასკებისამარა ველაპარაკე. წარმოიდგინეთ, ეკრანის წინ დაგუტარებდი ტრუსებში ჩადებულ გენიტალიებს. თან საკმაოდ ეფექტურს ზომის თვალსაზრისით. ეს გენეტიკაა, რა ჩემი ბრალია! დიდი სარცხვინელი პატარა ტანზე! თქვენც კი ჩემზე მაღლები ხართ! (*იცინის, სერიოზულდება*) იცოდეთ, მე ის დავივიწყე,

ვინც უნდა დამევიწყებინა. წარმომიდგენია, რა გაიარეთ. მაგრამ მე ვამაყობ თქვენით: ეს საოცრებაა, თქვენი მეგობრობა ვიღაც კომინიდს რომ არ ანაცვალებო.

**ნათელა:** არ ღირს კაცის გამო ჩხუბი.

**ბ-ნი რეზო:** ორდენს დაგვიდებდით ამ სიტყვების გამო. ნანა, ბოდიშს ვიხდი, შემოიძლია უფრო გულწრფელი ვიყო? ბებერი ვარ, დავთვერი და მეპატიება.

**ნანა:** იყავით გულწრფელი, ბატონო რეზო.

**ბ-ნი რეზო:** ნათელა, თქვენ ის შეგიყვარდათ?

**ნათელა:** *(ოცინის)* ნანა გავიდეს და უფრო თამამად ვიტყვი.

**ბ-ნი რეზო:** რა დიდებული მეგობრობა გაქვთ: არაფარისეველური, არათვალთმაქცური! ან ძალიან პროგრესულები ბრძანდებით, ან დიდი ვეღურები. ან ძირეული ინსტინქტებია, ან განვითარების უმაღლესი დონე.

**ნანა:** თქვას, არ გავბრაზდები.

**ბ-ნი რეზო:** არ მესმის, რატომ გეცინებათ, მაგრამ მომწონს. ერთგვარ საზღვარზე ვართ, ბეწვის ხიდზე – სულ პატარა შეტორტმანებაც და ან საშინლად უზრდელები გამოვჩნდებით, ან აუტანლად ბოროტები. თუ პირიქით, იქნებ ედემის ბაღის ბინადრებს ვგავართ? მე ასე ვხედავ ამ სურათს: ორი ევა და დაუძღვრებულ-სენტიმენტალური ლუციფერი. ანუ – მე. კაცი არ გვჭირდება. კაცებმა გული გვატკინეს. ლუციფერი გაკეთილშობილდა და ფილოსოფოსად იქცა. ჩოხი ფან ტუტტე! ასე იქცევა ყველა კაცი! თქვენ წინაშეა დაცემული ანგელოზი - თქვენი საყვარელი და ცოტა უცნაური ბატონი რეზო, რომელმაც წმინდანის ცხოვრებით იცხოვრა, მაგრამ უნებისყოფო და მოხლე სატანად აქცია სამშობლომ!

**ნათელა:** არ მომწონს ეს სიტყვა.

**ბ-ნი რეზო:** ეს ალკოჰოლია, ნათელა: ჩემს შეკითხვაზე არ გამეცით პასუხი, რატომ?

**ნათელა:** გამიმეორეთ შეკითხვა.

**ბ-ნი რეზო:** გიყვარდათ თუ არა ეს ნაძირალა დარდინი? თავისი ათლეტური ტანით, გრძელი ტორსით და კენტავრის მენტალიტეტით!

**ნათელა:** დიახ, მიყვარდა!

**ბ-ნი რეზო:** (ნანახ) და თქვენ არ ბრაზდებით ამაზე...

**ნანა:** არა. (ოცინიხ).

**ბ-ნი რეზო:** ბრავო! გაუმარჯოს ქართველი ქალების სიყვარულს. ამბიცია მოკვდა, ლუციფერი დამარცხდა. დღეს 26 მაისია, ჩემი ქვეყნის დამოუკიდებლობის დღე, რომელსაც ორი ზღვა, – რაოდენობის სასაზღვრო პუნქტი და ასი ათასი წყენა და იმედგაცრუება გვაშორებს. მე მარტო ვარ, არც ცოლი, არც ქმარი, არც ძაღლი. და ჩემი საწყალი ქვეყანაც მარტოა. ამ ძველ დროშასავით... ახლა ჩანაწერს ჩავრთავ და გაყურებინებთ, როგორ ცეკვავენ ქართველ ემიგრანტთა შვილები ქართულ ხალხურ ცეკვებს. ამ დროს, ნამყოფებიც არ არიან საქართველოში; აქ დაიბადნენ და უკან ვერ მიდიან, რადგან მშობლებს არა აქვთ პასპორტი. ერთმა ავტობუსის საბარგულით გადაიყვანა და გზაში გაეგუდა.

**ნათელა:** პირიქით, აქეთ გადმოყავდა.

**ბ-ნი რეზო:** რა მნიშვნელობა აქვს! გინდ აქეთ იყოთ, გინდ იქით – თქვენთვის რა იცვლება? გულწრფელად მითხარით, განა თქვენთვის სულ ერთი არაა, სად გაჩნდებოდით ამ ქვეყანაზე: ევროპაში, საბჭოთა კავშირში, თუ საქართველო-აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე? მაგრამ ის ბავშვი აღმოჩნდა უჩვეულო რეალობაში: საბერძნეთის საზღვრის გადმოლახვა უნდოდა და მეტაფიზიკური საზღვარი განვლო – სამოთხეში მოხვდა. სადაა ევროკავშირი? აქ სამოთხეა! სასაზღვრო პუნქტი: მარჯვნივ – ევროპა, მარცხნივ – სამოთხე. საინტერესოა, მონათლული თუ იყო ეს ბავშვი? თქვენი მღვდლები ამბობენ, რომ მოუნათლავები ჯოჯოხეთში ხვდებიან. მათ შორის, ჩვილები. მე კი აუცილებლად ვეტყოდი ასეთ მღვდელს: ჯოჯოხეთის



მაშხალავ, ავტობუსის საბარგული უკვე ჯოჯოხეთია, რაღა უნდა იყოს ამის იქით!

**ნათელა:** სულ არაა ჯოჯოხეთი, ჯერ იმგზავრეთ და მერე ბრძანეთ.

**ბ-ნი რეზო:** უკაცრავად. მართალია. უბრალოდ მე მიყვარს ბავშვები და ვერ ვიტან იმ ხალხს, რომელიც გრძელ, ბინძურ და გაჩაჩხულ წვერს უშვებს. გაგიმარჯოთ! ახლა კი – მთავარი: მე კარგი ვარ, თქვენ კი – ცუდები. მე გალანტური ვარ – საჩუქარი მოგიმზადეთ, რადგან ჩემთვის წარმოუდგენელია 26 მაისი საჩუქრის გარეშე.

**ნანა:** აი, სად შევირცხვინეთ თავი!

**ბ-ნი რეზო:** ღმერთებს ვთხოვ, არაფერი ჩაგედინოთ ამაზე მეტად სამარცხვინო!

უნდა მადროვოთ. ხელი არაფერს ახლოთ, აქ კამერებია. ვხუმრობ. ნეტა მართლაც კამერები მქონოდა დაყენებული – 2000 ევროდ გიყიდლით საჩუქრებს! (*იცინის, გაღიბ).*

**ნანა:** დათვრა.

**ნათელა:** კლიმაქსი აქვს ამას.

**ნანა:** რა ჰგონია, მე მივცემ იმ ფულს?

*ბ-ნი რეზო ბრუნდება. ხელში გამჭვირვალე პარკუჭში ჩადებული კაბები უჭირავს.*

**ბ-ნი რეზო:** ეს კაბები ჟურნალს არ მოჰყოლია. ოდესღაც ჩემი შეკვეთით დაამზადეს ჩვენი ხალხური ანსამბლის წევრებისათვის, თუმცა დასუქდნენ და მათში ვეღარ ეტევიან. ჭამენ და ჭამენ. თაობები იცვლება, მაგრამ ქონს არ ეშველა აღარაფერი. ამ კაბებს „სამფეროვანი დროშები“ ვუწოდებ: ძველ ეროვნულ დროშას იცვამ და არა ბანალურ კაბას. სპეციალურად – ემიგრანტებისთვის! ახალ, ხუთჯვრიან დროშას მე ეს ძველი მიძინებია. აქ მეტი დრამაა. ამ ფერებს ისტორიის სუნი უდით. (*იღებს კაბებს*) თუ არ დამეხმარებით, გავხევ.

ნანა და ნათელა ეხმარებიან. იღებენ კაბებს. კაბები მართლაც „სამფეროვანია“ – შავი, თეთრი, შინდისფერი.

ნანა: ლამაზია.

ბ-ნი რეზო: ეს თქვენია, ნანა, ჩაიცვით!

ნანა: როგორ გეკადრებათ, არ შემიძლია.

ბ-ნი რეზო: სუნი ნუ დაგაფრთხობთ, სპეციალურ ხსნარში მედო, რათა დაზიანებისგან დამეცვა. ნათელა, მოგწონთ? უნდა მოგწონდეთ, უგემოვნო ნაწარმს არ შემოგთავაზებდით, დიზაინერებს დღე და დამე ვედექი თავზე, მათთვის უშველებელი სუფრა მაქვს ნაკისრი. მოიზომეთ. უმორჩილესად გთხოვთ.

ნათელა: აქ?

ნანა: ვერ მივიღებ, ბატონო რეზო.

ბ-ნი რეზო: აქ, რადგან თუკი ვერ მიორგებთ, სხვა ეგზემპლარის მოცემა მომიწევს. სულ ხუთი ცალი მაქვს.

ნანა: მე ვერ ჩავიცვამ. არ ვარ დიდი ჩამცმელი.

ბ-ნი რეზო: 26 მაისია, არ უნდა მეწყინოს, ნუ გამიქარვებთ შუადღის ძილის მერე მოპოვებულ უმანკოებას. ნათელა, თქვენ მიეცით მაგალითი.

ნათელა: ვერ ჩავცტევი. (იცინის).

ნანა: სახლში ჩაიცვამს.

ბ-ნი რეზო: არა, აქ! უნდა ვხედავდე!

ნათელა: თქვენ რომელი ქალი გაგიძლებდათ!

ბ-ნი რეზო: ქალები ყველაფერს უძლებენ. ჩაიცვით, ნათელა! მახუქეთ ეს დღე! ნანა, გემუდარებით!

ნანა: არ შემიძლია!

ბ-ნი რეზო: დავიჩოქო? წნევა ამიწევს, ცოდო ვარ. აჰა! (დაჩოქებას ცდილობს).

ნათელას სამფეროვანი კაბა აცვია, რომელიც აშკარად ვიწრო აქვს. ლოყები წითლად უღაჟღაჟებს. მთვრალეები არიან.

**ბ-ნი რეზო:** ქართლის დედა ემიგრაციაშია – ეს უკვე დადასტურებული ფაქტია! როგორ არ ეჭვიანობთ, ნანა? ჩაიცვით! ნეტა თქვენი მუტრუკი გვხედავდეს – გულზე გასკდებოდა! შედით საპირფარეოში, გაიძრეთ თქვენი დასეილებული ძონძები და ჩაიცვით ქართული კაბა! ნეტა საწყალი ნოე ჟორდანია გვხედავდეს! ან თუნდაც ნოე რამიშვილი! რა სამწუხაროა, რომ თქვენ არაფერს გეუბნებათ ეს გვარები, ამ დროს, სწორედ მათი პირშია ეს დღე! ლენინის მიერ მოტყუებული, საწყალი ქართველი მენშევიკები.

**ნანა:** თქვენ რატომ არ იცმევთ ჩოხას, ბატონო რეზო?  
**ბ-ნი რეზო.** მე არ ვიმსახურებ. მე ზურგამოდებული კაბები მიყვარს. მტერს ყოველთვის ზურგს ვუშვერ.

**ნათელა:** დამცხა *(ღიღებს იხსნის კისერთან, ხელით იხიავებს)*.

**ბ-ნი რეზო გაჭირვებით უკიდებს ცეცხლს პატარა შანდალზე დარჭობილ სანთლებს. ბარბაცებს.**

**ნათელა:** რა ვქნა, გახდა შეიძლება, ბატონო რეზო?

**ბ-ნი რეზო:** ჩაცმა თქვენი იყო, გახდა ჩემია. ლოცვა არ გინდებათ? *(უყურებს სანთლებს)* შეხედეთ, რა სილამაზეა.

*ნათელა ვადის.*

**ნანა:** მოუხდა.

**ბ-ნი რეზო.:** და ამ კამეჩს ხმარობდა თქვენი დარდინი? რა სიმდაბლეა! *(ჩურჩულით)* ჩემგან გადაეცით, რომ მძულს, ოღონდ საიდუმლოდ. და ჩემს მოშორებას ვერასდროს შეძლებს!

**ნანა:** არ ვაპატიებ თქვენს გაქურდვას. ჩემი ხელით მოვკლავ, თუკი ვნახავ.

**ბ-ნი რეზო:** ჯერ ეს კამეჩი უნდა მოვკლათ.

**ნათელა ბრუნდება. ისევ ის კაბა აცვია.**

**ნათელა:** ამას მარტო ვერ გავიხდი. (ნანას) გამოდი ცოტა ხნით.

**ბ-ნი რეზო:** ჯობდა, გეთქვათ: ვერ ვიხდი ქვეყანას. შენი სამშობლო შენს კანშია შეზრდილი. ამას ვერ უშველის ვერც ორი და ვერც ოთხი ხელი. მხოლოდ – სიკვდილი!

**ნანა:** (დგება ნათელას ზურგს უკან). დიღები არა აქვს ამას?

**ბ-ნი რეზო:** ელვა აქვს, მაგრამ სამუდამოდ ჩაყვებოდა უკან.

**ნათელა:** დავიხრჩვი.

**ბ-ნი რეზო:** მიხარია.

**ნათელა:** რა გიხარია?

**ნანა:** (კაბას ეწვავლება). მთერალია, თავი დაანებე.

**ბ-ნი რეზო:** (აყვირდება). ამ კაბას ვერასდროს გაიხდი, წებოსა და ბენზინშია ამოვლებული და ნაჭერს ხორცთან ერთად თუ დაიგლეჯ! დროშა ფიზიკურად შეგეწება მოთახთახე ცომში.

**ნათელა:** ვაი, შე ავადმყოფო!

**ნანა:** მართლა ჩაყვა.

**ბ-ნი რეზო:** აბა, გაიხადე! მოგეწონა დაქალის კაცის ელე? ბოდიშს ვიხდი – საოხრე! რა მოხდა, ეს ტერმინი „სიტყვის კონაში“ წერია, მე-17 საუკუნის ქართულ ლექსიკონში! პრობლემა დალატია და არა მეტყველება. მადლობელი დარჩი?

**ნათელა:** არანორმალურო! (აფურთხებს ბ-ნ რეზოს).

**ნანა:** (უყვირებს ბ-ნ რეზოს). ვაი, შენს პატრონს! არ გრცხვენია?

**ბ-ნი რეზო:** სირცხვილი კაბის დაგლეჯაა! ისტორიულ დროშას შეეურაცხყოფთ! აქეთ – თეთრი, იქით – შინდისფერი, აქეთ – ერთი მკლავი, იქით – მეორე

**ნათელა:** ეს როგორ გახდა პროფესორი!

**ბ-ნი რეზო:** თქვენ როგორ გახდით ქალები! (შამპანურის ნარჩენებს ასხამს ნათელას, ცოტა ნანასაც ხვდება).

**ნანა:** (უკივლებს) რას აკეთებ?

**ნათელა ხელის წავლებას ცდილობს რეზოზე, თუმცა ვერ ასერხებს.**

**ბ-ნი რეზო:** ხორუმი უნდა ჩამერთო, აი სად შევცდი. ინსტინქტების ცეკვა!

**ნათელა** კაბის კალთებს იწევს, ქვევიდან უნდა ახდა, თუმცა არც ეს გამოუდის. ბარძაყები და ტრუსები უჩანს.

ღმერთებო, რამდენი ცელულიტია! (ნათელას ახხამს შამპანურს, ნანა ნათელას ეშვება და რეზოს ურტყამს, უსხლტება ნანას, შანდლიდან სანთელს აძრობს და ცდილობს ნათელას კაბის კალთას მოუკიდოს ცეცხლი). ეს კაბა ამ ქალიანად უნდა დაიწვას! (ნათელა ურტყამს ცეცხლი უქრება, ბ-ნი რეზო სანთებელას იღებს ჯიბიდან) იმისათვის, რომ სისხლი გლიოდეთ, კანიანად უნდა გაიძროთ, ღიზინერის თხოვნაა! (ცდილობს ცეცხლი მოუკიდოს კაბის კალთაზე, თუმცა ნათელა ხელით იქრობს, ნანა მკლავზე ეჯაჯგურება) რა უფლებით მოგვიშაღეთ მერცხლის ბუდე? გართობა მოგვინდა? ბოდიშს ვიხდი, არ გამოვა, სიმართლის გაგება მოგიწევთ! ეს უნდა იცოდეთ (ხილას აწნავს ნათელას. ნათელა ტირის, უტყამს ბ-ნ რეზოს) უკაცრავად, ეს ჩვენი ოჯახია, ეს ჩემი ოჯახია, მე ვარ მედეა, ეს მე ვარ მედეა! (იცინის. ცდილობს ნათელას თმაზე წაუკიდოს ცეცხლი) გააჩერეთ ეს თქვენი გოგრა!

**ნათელა:** (კივის) თმაზე წამიკიდა!

**ბ-ნი რეზო:** საინტერესოა, რა კვებას შუადღის კოშმარებს: საკუთარი თუ სხვისი ღალატი?

**ნანა ბ-ნ რეზოს თავზე ამსხვრევს შამპანურის ბოთლს. მისი თავი მომენტალურად იღებება სისხლით. ნანა კივის.**

**ნათელა:** კიდევ!

**ნანა ურტყამს.**

**ბ-ნი რეზო:** (მშვიდად) თავი, ჩემი თავი...

**ნათელა:** (ხელები ზურვს უკან მიაქვს, კისერზე ექანება საყელოს. ტირის) გამხადე, ნანა, შენი ჭირიმე, გეხვეწები.

**ბ-ნი რეზო:** სისხლი კიდევ უფრო მეტად აგზნებს მოძალადეს. (მუხლებზე დგება, ხელებით ცდილობს სახის გამშრალებას) თქვენ მე ბოლო მომიღეთ, ნანა, მოიტანეთ პირსახოცი. კლინიკაში ვერ დარეკავთ – დაგიჭერენ. პოლიცია მოვა. ორი ბრალდება: მკვლელობა და არალეგალური ემიგრაცია. მე განწირული ვარ. სიმთვრალე მშველის.

**ნანა:** (ტირის) სადაა პირსახოცი? თავი გავუხეთქე, იოდი მინდა. (ნათელას უყვირებს) დარდინს დაურეკე!

**ბ-ნი რეზო:** (აუღელვებლად) სადაა დარდინი?

**ნათელა:** (კაბის ზევიდან ახდას ცდილობს, თავი არ უჩანს) დავიხუეთ!

**ნანა:** იოდი გაქვთ, ბატონო რეზო?

**ბ-ნი რეზო პირქვე ემხოზა. ნანა კივის. ნათელა კაბაში იჭედება.**

**ნათელა:** ამხადე, ნანა!

**ნანა ზევით ქაჩავს კაბას. ნათელა ადგილზე ვერ ჩერდება.**

**ბ-ნი რეზო:** სისხლი მეზობელთან ჩავა. აქ ძველი პარკეტია. გვამს ვერ გააქრობთ. უნდა დამწვათ, თუმცა დამწვარი ხორცის სუნი დადგება და მეზობლების ყურადღებას მიიქცევთ.

**ნათელა თავს ითავისუფლებს. ლიფისა და ტრუსების ამარა რჩება.**

**ნათელა:** (კაბას ურტყამს ბ-ნ რეზოს) მკვლელო! მკვლელო!

**ნანა:** (ტირილით, ნათელას ხელზე ეპოტიინება) თავი გაუხსოვტქე, ნათელა, მოგკალი...

**ნათელა:** თმაზე მიკიდებდა ცეცხლს.

**ნანა:** დავიდუპე, ნათელა...

**ნათელა:** მკლავდა ეს ავადმყოფი! მეთქი, ინფარქტი დამარტყამს. ჰაერი არ ჩამდიოდა

**ნანა:** (ტირილ) გადმოაბრუნე!

**ბ-ნი რეზო:** პუღსი აღარ მაქვს, ლეტალური შედეგი დადგა.

**ნათელა ბ-ნი რეზოს ფეხით გადმობრუნებას ცდილობს.**

**ნანა:** რატომ გიკიდებდა ცეცხლს! კაბას წაუსვა რამე?

**ნათელა ხელით აბრუნებს ბ-ნ რეზოს. ნანა იკიფლებს.**

**ბ-ნი რეზო:** მკვდარი ვარ. გვამი უნდა გადამაღლოთ, თორემ ზემი ცუდად დამთავრდება. შეუძლებელია ჩემი ჩაგდება ნაგვის ბუნკერში. ქუჩაში სათვალთვალო კამერებია. მოქექეთ კარადა და დიდი ზომის ჩემოდანი მოძებნეთ. ემბრიონით ვერ მოვიჭეჭყები. ინსტინქტმა უნდა იმუშავოს: ჩემი დანაწევრება მოგიწევთ. ხერხი არ მაქვს, ხმლით ან ხანჯლით უნდა იმუშავოთ.

**ნათელა:** (ტირილ) მკვდარია, ნანა.

**ბ-ნი რეზო:** თავი გამისკდა, რა ძალით დამარტყით.

**ნანა:** დარდინს დავურეკავ, მოვიდეს.

**ნათელა:** სად უნდა მოვიდეს? თავი მოიკლა ვითომ.

**ნანა:** როგორ? ბოთლი ჩაირტყა თავში?

**ნათელა:** გადააგდე მაგ ბოთლი და ჩუმად გავიდეთ. კაციშვილი არ მოიკითხავს ამას.

**ნანა:** სუნი დადგება.

**ნათელა:** ქუთაისში წადი. დილით გავა ავტობუსი.

**ნანა:** შენ?

**ნათელა:** მე სად წავიდე?

**ნანა:** *(ჭირის)* აბა, მარტო მე მოვკალი?

20.

**ჩემოდანი**

**27 მაისის დღია. ეფთალიას სახლი.**

**დარდინი, ნანა, ნათელა**

**დარდინი:** რა უქენით პირსახოცებს?

**ნათელა:** ამან გადააგდო.

**დარდინი:** მკვდარი იყო ნამდვილად? თავის მომკვდარება  
იცის მაგან.

**ნათელა:** *(ჭირილი აღარ გამოუდის)* გათეთრდა სულ.

**დარდინი:** *(ნანას)* ბოთლი შენ ჩაარტყი?

**ნანა:** კაბა ჩააცვა ამას და ვერ გაიხადა.

**ნათელა:** მოწამლული იყო კაბა.

**დარდინი:** რა კაბა?

**ნათელა:** დროშა.

**ნანა:** ამან გახადა.

**დარდინი:** კაბა ეცვა? *(ნათელას)* მთვრალი ხარ შენ?

**ნანა:** გაწმინდა, არ ეტყობოდა არაფერი. მარტო – აქ.  
*(შუბლს ზემოთ იღებს ხელს)* სისხლი იყო სულ.

**ბ-ნი რეზო:** *(კედელთან დგას. დასისხლიანებული თავი და საკმაოდ არაჯანმრთელი იერი აქვს)* მკვლელობა მოხდა ოცდაოთხ საათსა და თოთხმეტ წუთზე, შინ დილის ექვსის ნახევარზე მობრუნდნენ. საინტერესოა, ამდენ ხანს რას შვებოდნენ? მრეცხავდნენ და მაპატიოსნებდნენ? არა, შენ შლეგ ქალებს ესაუბრები! ძლივს ჩამტენეს 11 წლის წინ პარიზში ნაყიდ ჩემოდანში, კაბა და ბოთლის ნამსხვრევები პოლიეთილენის პარკში ჩაყარეს, შეკრეს და ქუჩის ნაგვის ყუთში ჩაუშვეს; ჩამათრიეს სადარბაზოში, ტაქსით წამიდეს ავტოსადგურში, ჯერ გადაწვიტეს დიდი სეიფის დაქირავება, თუმცა ეძვირათ, მერე



სოფიაზე აიღეს ბილეთი, სიღრმეში შემდგეს (*ოვიქრეს, ვინ ნახავს*), მაგრამ გაშვება ვერ გამიბედეს, ისევ გადმომიღეს, ისევ ტაქსში ჩამდეს, ომონიის უკან, ნარკომანები რომ ყრიან, იქ შემიტანეს უფანჯრებო შენობაში და ლიფტის ორმოში – ნაგვის თხრილში ჩამაგდეს. ოღონდ მაინც შერჩათ ავტობუსის ბილეთი - 60 ევრო. ამათთვის კი ესეც ბევრია.

**ნანა:** (*ტირის*) დაგვიჭერენ, დარდინ.

**დარდინი:** შედი იმასთან, სუპის ჭმევა მინდოდა, პურიც დაუჭერი, მაგრამ არ გამცა ხმა. ვიფიქრე, ძინავს. თავი ჰქონდა ჩამოვარდნილი.

**ნანა:** რატომ ჰქონდა? შენ რატომ უნდა გეჭმია? (*ვადის და უცებ ბრუნდება*) არ გავალ. მოკვდა?

**დარდინი:** არა. თავი დაეკიდა.

**ნანა:** როგორ?

**დარდინი:** ჩაქინდრა. კაბა რატომ ვერ გაიხადა იმან?

**ნანა:** რა უქენი, დარდინ?

**დარდინი:** (*ოვეირებს*) არაფერი არ ვუქენი! მეთქი, სეიფის ნომერს მეტყვის, მაგრამ რას მეტყვის! ღრუტუნებს, ცოცხალია! სუნთქავდა!

**ნანა:** რა სეიფის?

**დარდინი:** საიდან ეს ტელეფონი? საიდან ეს ტელევიზორი? 600 ევრო რომ გაჩუქე მარტში მკითხე? რა მკითხე? სად ვიყავი? ვინ ყიდულობდა ამ შარვლებს, მკითხა ვინმემ? გამოჩნდა შენი ბერძენი? ჩემი გამოჩნდა! ცოლივით მყავდა ერთი წელი, ფულს მაძლევდა და რაც შევძელი, შევძელი. მათრობდა. ჩემით არ ვშვებოდი. ამბობდა: „აქ გადმოდი“. სად წავსულიყავი? ხალხია, ვისთვის მეთქვა! შემოჩნდა: „წამოდი, წამოდი“. სად? აღარ მაძლევდა მერე არაფერს, აღარ იყო ჭკუაზე. გინახავს ქათმები? იმიტომ ვთქვი: საშიშია. მოკალი და მოკალი, ღირსია! 2000 ევროს გამო მიხვედით? ავიღე და მორჩა! რატომ თქვი „წირვაზე მივდივარ“? ესაა წირვა? (*ნათელაზე*) ამან იცოდა – ფული არ მქონდა, ამასთან მივედი და, მეთქი, მასესხე ფული, მაგრამ მითხრა: მიდი შენს ცოლთან, შენს ზარს

ელოდება. არ მინდოდა მოსვლა. ვიფიქრე, მოვალ, აქედან წავიღებ რამეს და წავალ ქუთაისში, წასვლა იყო საჭირო, ბავშვი არ მომიკლავს.

**ნათელა:** რა ბავშვი?

**დარდინი:** ბავშვს ვეძახით ამ ქალს. მესიჯებს გაჩვენებ. ქალი ვერ დაწერს მასეთებს.

**ბ-ნი რეზო:** ცხრა საათზე გადის ავტობუსი.

**დარდინი:** ან წავალთ, ან ვეღარ წავალთ. რაც ჩაგვეტევა, ჩაგვეტევა.

**ნანა:** *(ტირის)* ხელი არ ახლო არაფერს. არაა მკვდარი. ძინავს მაგას მასე.

21.

**ათენი-ქუთაისი-თბილისი.**

**ნანა:** ხელი არაფრისთვის გვიხლია. ორ ჩანთაში ჩავეტეი. ავტობუსი ცხრაზე გადიოდა და ნათელას ხომ უნდა მოესწრო შინ შეველა, მაგრამ ეს არ უნდოდა დარდინს, ეშინოდა – მარტო ფიქრობდა წასვლას. ბანკში შესვლას ვერ ვასწრებდით *(ისედაც 1000 ევროს თუ მოგვეცემდნენ – ფინანსური კრიზისის გამო, მეტს არ იძლეოდნენ)*, თუმცა თან გქვონდა ჩვენი ბარათები. ნათელა გონზე აღარ იყო. გაუგებარი და მიუღებელი ჩემთვის – მისი დუმილი და უცნაური საქციელი - დარდინი მასთან მისულა და ჩემთვის სიტყვა არ ჰქონდა ნათქვამი. მე მაქვს მოსაზრება, რომ ეს იყო ქალის შური და მაგას ყოველთვის თავისთვის უნდოდა ეს პიროვნება. თუმცა ჩემთან სხვანაირად ამბობდა. მე ასე ვუყურებ ამ საკითხს. შესაძლებლობა რომ ყოფილიყო, სხვადასხვა ავტობუსით წამოვიდოდით, მაგრამ იმ დღეს ერთი ცალი გადიოდა თბილისისაკენ: მთავარი საქართველოში იყო შებრუნება, თორემ მერე გზად ჩამოვიდოდით ნაწილ-ნაწილ. როცა უკანა გზაზე მოდიხარ, საშიში არაა ზევით ჯდომა – დაგკითხავენ, დაგემუქრებიან და გაგაგდებენ

შენი საზღვრისკენ, მაგრამ ამ ვითარებაში არ შეიძლებოდა ზევით დაჯდომა – ვინ იცის, სად წამოგვეწეოდა იმ უბედურის ამბავი. ვითომ მეორე დღესვე მოიკითხავდნენ? ბებიას, სულ ცოტა, ერთი წელიწადი არ მოიკითხავდა არავინ, მაგრამ მაინც რომ მოეკითხა ვინმეს? რა ეშველებოდა ახლა უჩემოდ? სად დამერეკა იმ დილით! წლების განმავლობაში ხელით მეჭირა მისი სული და აღარ მინდოდა მკვდრის ნახვა. თუ მართლა მკვდარი იყო. მაგრამ მე ვაიძულე ჩემს თავს და მაინც შევედი მის საძინებელში: ეს იყო ჩვეულებრივი ძილი სუნთქვის გარეშე. გადაქექილი მომეჩვენა ოთახი, თუმცა ძნელია ახლა იმის გახსენება, რა იყო ნამდვილად და რა მეღანდებოდა იმ მდგომარეობაში. მართალია, იქ იყო სეიფი მხატვარ რალის ნამუშევრის უკან, მაგრამ ჩვენ ვიცოდით, რომ ეს იყო როგორც სამუხეუმო ნიშუში და არაფერი არ იღო შიგნით – წაშლილია – მაგრამ მაშინ დრო არ გეპქონდა ყველაფრის გარკვევის, მით უმეტეს, ჩვენი ეგრეთ წოდებული „ბავშვის“ გაცოცხლების, რაც არაერთხელ მიქნია მანამდე. ძალა აღარ მქონდა. არ ვენდობოდი დარდინს და მჯეროდა, რომ ყველაფრის ჩადენა შეეძლო. რისი წადება უნდოდა? რატომ შევიდა? ნათელა ტიროდა, დაუსრულებლად იხსენებდა იმ წუთებს, როცა კაბის გახდას ვერ ახერხებდა, როცა იმ უბედურს ვტენილით ჩანთაში. მძლოლმა სამას ვეროდ შეგვიწვინა, მაგრამ იჩხუბა – ახლა იშვიათად შეგებოდნენ ამას, ფრთხილოდნენ. გინდა ძვლები ჩაგიყრია, გინდა ჩვენ – ფასი არ გეპქონდა, ნაგავს რომ ჩააგდებ სადმე, ისე შეგვეყარა. უკაცრიელ ადგილებში ვფსამდით, დარდინი ჭამდა, ჩვენ პირში არ გადაგვდიოდა ლუკმა. არავის გაგუხსინჯივართ, ისე შემოვვებით წლობით უნახავ საქართველოში. ნათელა ბათუმში უნდა ჩასულიყო (*რძალი ჰყავდა ბათუმელთ*), მაგრამ არ ჩავიდა – არ იცოდა, რა ექნა, სად წასულიყო. უკვე ზევით ვიჯექით. გიჟები

ვეგონეთ მგზავრებს. ქუთაისში ჩავედით სამივე, ოღონდ მაშინ ძალიან ცხადი გახდა: არც ერთს არ გვინდოდა ერთად ყოფნა, არ გვინდოდა ერთმანეთის ყურება, თუმცა ზიზღიც არ იყო ეს, სად გვექონდა ზიზღის თავი – ისე ვიყავით, თითქოს შეგვექმნა ერთმანეთს. ვინ იყო ეს ხალხი? რატომ მომესაჯა ამათთან ერთად ცხოვრება? სად მოვდიოდით? რა უნდა მექნა? როგორ მეარსება? ისევ ხელახლა გამეარა ჩემი ცხოვრების გზა? და სად იყო ეს გზა? რა მოჰყვა ჩემმა არაკანონიერმა მეუღლემ? რა ხდებოდა მასსა და ჩემს მიერ მოკლულ პიროვნებას შორის? ამაზე ფიქრი არ მინდა. სამი კვირა ერთად ვცხოვრობდით ქუთაისის მახლობლად და სულ რომ არაფერი გვექნა, კიდევ დიდხანს ვიარსებებდით ჩვენი დანაზოგით. მაგრამ ყოველ დღე ველოდით სიგნალს ჩვენი ცოცხალ-მკვდრებისგან. ამიტომ გაჩნდა მოსაზრება, რომ გადავსულიყავით საქართველო-აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე, მოგვეთხოვა აფხაზური პასპორტები და შემდეგ რუსეთში მოგვეხერხებინა შესვლა, რადგან ფაქტობრივად მალვაში ვიყავით საქართველოში. ჩვენი სურვილი იყო სახელების და გვარების შეცვლა, მოქალაქეობის გადაკეთება და ისეთ ადგილზე დასახლება (თუნდაც დროებით), სადაც შეუძლებელი იქნებოდა ჩვენი პოვნა. მაგრამ ძალიან რთული იყო ამ გეგმის განხორციელება. ვინ მოგცემდა პასპორტს? რა გზები უნდა გვეძებნა? ქრთამს თუ აიღებდნენ რუსი სამხედროები და თუ – კი, კერძოდ რამდენს? თუ პირდაპირ განყოფილებაში წავგაბრძანებდნენ? ისევ დამალევენებდნენ ჩაის 2008 წლის ომის მერე, თუ იქვე დაგვხვრეტდნენ, როგორც საზღვრის დამრღვევებს? ძნელი იყო ამაზე ფიქრი და ამ გეგმით ცხოვრება, რადგან იგივე წერტილში ვბრუნდებოდი, საიდანაც წავედი. ოღონდ ახლა სხვა სახელით და სხვა სახელებში. აფხაზეთმა ჩვენს სოფლებსაც შეუცვალეს სახელწოდებები. ჩემს ჭუბურხინჯს ხიაცხა უწოდეს. რა იყო ხიაცხა? სად

იყო? ახლა ყველაზე სახიფათო საზღვარი უნდა გადამელახა. თუ ეს იყო ჩემი ცხოვრება – საზღვარზე ყოფნა? საზღვარზე ცხოვრება – არც აქეთ, არც იქით. ისევ ამათთან ერთად. არა. მე არ შემიძლო ამით არსებობა, მოსანანიებელი და ბოდიშის მოსახდელი არაფერი მაქვს, მე მოვედი ჩემი ფეხით და სხვამ თავისი ქნას, რადგან შეუძლებელი იყო ჩემთვის მალვა, შეუძლებელი იყო მომხდარის დავიწყება, შეუძლებელი იყო ერთად ყოფნა და შეუძლებელი იყო გადაწყვეტილების მიღება. ნათელამ თვითონ მოყვეს თავისი. მე არ ვიცი, სადაა ამჟამად ჩემი არაკანონიერი მეუღლე. რაც ვქენით, ვქენით. არც ცოცხლები ვიყავით მაშინ, არც მკვდრები. რაც ჩავიდინეთ, ჩავიდინეთ შიშისგან. ბოდიში სხვებმა მომიხადონ. ყოთ, რაც ვგზავნე, ვაცვი და ვაჭამე. პატიება სხვებმა მთხოვეს. და არ იქნება არც დარდინი, არც იმ ჩანთების თრევა, არც ჩემი ბებრები, არც ნათელას კაბა და არც ის 26 მაისი.

23.

### **ბ-ნი რეზო კარგ მოხუცს ესაუბრება**

**ბ-ნი რეზო:** ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს საშინელი ხალხი ვიყოთ: უსიყვარულო, უწესო და მომხვეჭელი, მაგრამ ასე ნამდვილად არაა საქმე. პირიქით, საკმაოდ თბილი ადამიანები გახლავართ და ძალიან გვინდა, ყველას უყვარდეთ. ჩვენ ხომ ასე ვიზრდებოდით: ქართველები ყველას უყვარს, რადგან ისინი ობიექტურად არიან ძალიან საყვარლები. მახსენდება ჩემი ისტორიულ-პედაგოგიური სატელეფონო ზარები, სადაც შესაშური ენთუზიაზმით ჩავაგონე ზოგიერთ სკეპტიკოსს, რომ უძველესი კულტურის მქონე, ყოველმხრივ ნიჭიერი და საოცრად ინდივიდუალური ერი ვართ, მაგრამ განა ჩვენი ბრალი იყო, რომ არანორმალურ კონტრასტებში გვიწევდა ცხოვრება – მოულოდნელ სიბრძნესა და ამაზრზენ სიბრიყვეს

შორის, გულისამრევ სილანრესა და გამაოგნებელ სიმამაცეში! როგორ გგონიათ, ადვილი იქნებოდა კულტურული იერის შენარჩუნება ამგვარ ზღვრულ მდგომარეობაში? მე ასე ვხედავ: ჩემი სახლის 26 მაისი აქამე არსებული ყველა 26 მაისის აღეგორიაა. მაგრამ ეს კერძო შემთხვევაა. არ უნდა დამელია. ემოციურ გამოსტომებს პრობლემებთან მივყავართ. ეს ქართული გაკვეთილია. თუმცა უნდა ვთქვა, რომ თავს შეურაცხყოფილად და ნაწყენად ვგრძნობდი: მე მიღალატეს, გამქურდეს და დამცინეს. მაგრამ ვინ არაა საქართველოში ნაწყენი, გაქურდული და შეურაცხყოფილი? მომიძებნეთ ასეთი და დამატებით ათწლეულებს გაჩუქებთ. უკაცრავად, მარტო მე აღმოვჩნდი ბოლმა? როცა ცუდად გვექცევიან, ჩვენც ცუდები ვხდებით. ეს ფიზიკის კანონია ჩემი აზრით. რას ვითხოვთ? ბოლოს და ბოლოს, მართლა უვიზო რეჟიმს ხომ არა? მოფერებას! და არა სათლში ჩაგდებას გამოწუნული ნარჩენებივით ეს არაა მეტაფორა, ვიზა ახლა აღარც მჭირდება - წავალ და ჩემს მხაგვრელებს დავედევნები! (*პაუზა. აკვირდება კარვ მოხუცს*) ბოდიშს ვიხდი, თქვენ სუნთქავთ. შეძლებთ ტელეფონზე დარეკვას? გყავთ ნათესავები? დღეს არ მოვა თქვენი ნანა.

*ფარდა.*